# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკეობით

№ 14 (70)

10 აპრილი, პარასკევი, 1992 წ.


## 9 აპრილი — ტანჯვის გზით სიხარულისაკენ

1989 წლის 9 აპრილს იმპერიის ჯალათებმა მესამედ მოინდომეს საქართველოს ოკუპაცია და დაგვიხოცეს ქართველი პატრიოტები.

2 წლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ რეჟიმში აიღო და იმპერიის მონობას სამუდამოდ უთხრა უარი.

ტანჯვის გზით მივდივართ სიხარულისაკენ.

9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. ვულოცავთ და ვუსურვებთ ქართველ ერს შეკავშირებით, თანადგომით, ურთიერთსიყვარულით განვამტკიცებინოს მონაპოვარი და მალე რეალურად გვეგრძნოს თავი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ შვილებად!..

## სამართლიანობა და ისტორია მოითხოვს!..

ადამიანის ფსიქიკას და, როგორც ჩანს, ადამიანთა კოლექტიურ თვისებასაც აქვს ერთი ნიშანი - თუ გავითავისეთ რაიმე სანატრელი და მნიშვნელოვანი, ვივიწყებთ ცალკეულ მონაკვეთებს გზაზე, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა. იმიტომ, რომ აღსრულებული ოცნებების ამ წუთიერი პერსპექტივიდან ესენი მკრთალად და უმნიშვნელოდ მოჩანან. არადა, იმ წუთში ისე მძაფრად და მნიშვნელოვნად განიცდებოდა, რომ ჩვენ ცნობიერებაში მაშინ ყველაფერი გადაფარა.

შარშან, 9 აპრილს ხომ საქართველომ ხელი მოაწერა სახელმწიფოველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ზოგი ამბობს, ის ხომ ფაქტია, ქაღალდზე დაფიქსირებული ფორმალური და არა ფაქტიური რეალობა, მაგრამ ამ ფორმალური აქტის წყალობით დამოუკიდებლობა განხორციელდა არა მარტო ქაღალდზე, არამედ ერის ცნობიერებაში, რასაც თავისთავად მთელი ერის ცხოვრებისათვის ფიზიკურ რეალობაზე არა ნაკლები ნამდვილობა აქვს.

რეალობა იყო ეს ფორმალური აქტი თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო დოკუმენტალური ასახვა ქართველი ხალხის იმ საყოველთაო ეროვნული ნებისა და სწრაფვისა, რომელიც გამოვლინდა 1991 წლის მარტის რეფერენდუმში ფორმალურად და 1989 წლის 9 აპრილს ფიზიკურად.

ამიტომ ამ თარიღს, 9 აპრილს, ქართველი ხალხისაგან დავიწყება არ ეგების და მე მინდა დღეს სამძიმრის ტკივილიან სიტყვასთან ერთად ქართველ ერს და ჩემ თავსაც, როგორც მის ერთ მეხუთმილიონედ ნაწილს, ვუთხრა მილოცვის სიხარულისა და იმედის სიტყვა.

მაია ნათაძე

### ვახტანგ რაზმაძე:

## 36 კაცი იყო „ემვედესა“ და სუკის აგენტი

საქართველოს გენერალური პროკურორი ბატონი ვახტანგ რაზმაძე 8 აპრილს მიწვეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ღია სხდომაზე.



ბატ[illegible]ალურმა პროკურორმა ისაუბრა საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი ვითარების შესახებ.

იყო მწვავე, პირდაპირი კითხვები და იყო ასევე პირდაპირი, არაორჭოფული პასუხები პროკურორის მხრიდან.

სამიოდე მაგალითი (კითხვა-პასუხებს გადმოვცემთ პერიფრაზებით):

**კითხვა: ბატონო ვახტანგ, საჭირო იყო თუ არა კულუმბეგოვის გაშვება?**

პასუხი: კულუმბეგოვის განთავისუფლება არ შეიძლებოდა. ეს შეცდომა იყო, ჩვენ იმდენი სამხილი გვქონდა მის წინააღმდეგ, რომ მისმა ადვოკატებმა ამ სამხილებს გვერდი ვერ აუარეს.

**კითხვა: რას იტყვის გენერალური პროკურორი იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტყოფილის მომხრენი ჩირქს სცხებენ უწმინდესსა და უნეტარესს, რომ მას აგენტობის იარლიყიც კი მიაკერეს?**

პასუხი: უწმინდესი და უნეტარესი, როგორც პიროვნება და როგორც მოღვაწე, მართლაც ღვთის რჩეულია. მის მიმართ ცილისწამება განუზომელი მკრეხელობაა. რაც შეეხება აგენტებს, ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომ სწორედ უზენაესი საბჭოს იმ დეპუტატებში, რომელნიც მხარს უჭერენ პრეზიდენტს, 36 კაცი იყო „ემვედეს“ და სუკის აგენტი.

**კითხვა: რამდენად სწორია ის ფაქტი, რომ გვარდიელებს თქვენზე მეტი, ან პროფესორ-მასწავლებლებზე მეტი ხელფასი — 2000 მანეთი აქვთ დანიშნული?**

პასუხი: თუ გვარდია მართლა შეასრულებს თავის მოვალეობას და დაიცავს სამშობლოს, ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა დავიკლოთ ხელფასი და პირველყოვლისა მივცეთ მათ, მივცეთ უფრო მეტიც, ვიდრე მათი ხელფასებია.

შეხვედრაზე ბევრი რამ ითქვა ახალი და საინტერესო, ჩვენი გაზეთი ამ დროს უკვე ეწყობოდა და ამიტომ უფრო ვრცელ ინფორმაციას ვერ შემოგთავაზებთ. შეხვედრის საერთო შთაბეჭდილებაზე კი ერთს ვიტყვი.

მწერლებს მაღალი რანგის თანამდებობის პირები ტაშით იშვიათად გაუცილებიათ, ირონიითა და მკვახე შეძახილებით კი ხშირად.

იმ დღეს შეხვედრა პირველი ვარიანტით დასრულდა...

ნ.თ.

## „ზვიადი (აბელი) მთელს მსოფლიოში აღზევდება“...

**რედაქციისაგან: კაცი, რომლის წერილის ნაწყვეტსაც ქვემოთ გთავაზობთ 29 მარტს ხობში მიტინგზე აირჩიეს რაიონის პრეფექტად...**

**ჩვენ ორგზის დავბეჭდეთ პატარა წერილები ანტიზვიადიზმის შესახებ, რითაც გვინდოდა საზოგადოებისათვის გაგვეცნობიერებინა, რომ ანტიზვიადიზმის დაუმთავრებლობა მორიგი ცდაა მტრის ხატის შექმნისა და ჩვენი სისუსტისა თუ შეცდომათა სხვაზე გადაბრალების საუკეთესო საშუალებაა.**

**მაგრამ, ზვიადიზმი?**

**ზვიადიზმი, ყოველ შემთხვევაში, იმ ფორმით ქვემოთ მოთავსებულ წერილში რომ არის წარმოდგენილი, სალი აზროვნების ფარგლებს სცილდება.**

**მაგრამ უბედურება ის კი არ არის, რომ ერთი კაცის ნააზრევი სალი აზროვნების ფარგლებს სცილდება, უბედურება ის გახლავთ, რომ ეს პიროვნება ასეთი რამე-რუმეების ლაპარაკისათვის სხვებმა, მისი გამოსვლით მოხიბლულმა ადამიანებმა, როგორც ითქვა, პრეფექტად აირჩიეს.**

**ახლა კი გთავაზობთ „დროებითი პრეფექტის“ წერილის ნაწყვეტს, რომელიც დაიბეჭდა ხობის რაიონულ გაზეთში 1992 წლის 20 იანვარს.**

* * *

დღევანდელ მსოფლიოში ღვთიურ დიალექტიკის კანონზომიერების პატარა ნაწილს ნაზიარებია თითო ოროლა კაცი. ისინი ამ საიდუმლოს ხმამაღლა ვერ იტყვიან, რადგან საზოგადოება და შესაბამისად კაცობრიობა ჯერ არაა მზად გაიგონოს, შეიგნოს, შეიგონოს სამყაროს დაფარული ცოდნა-საიდუმლოებანი. რის შედეგადაც ჩვენმა „აკადემიკოსთა ინტელიგენციამ“. ბატონ ზვიად გამსახურდიას შეურაცხადი უწოდა. ბრიყვებმა გენიოსს გიჟი უწოდეს, რადგან არ იციან ვისთან აქვთ საქმე. (სულელის უპირატესობაა გენიოსი გიჟად გამოაცხადოს) მინდა გაუწყოთ, რომ მიხეილ გორბაჩოვი და ზვიად გამსახურდია არიან ბიბლიური პერსონაჟები (გმირები) და არა უბრალო მოკვდავნი. მე შემიძლია ბიბლიიდან ციტატები მოვიყვანო და დავამტკიცო რა და როგორ, მაგრამ ეს იქნება წყლის ნაყვა, რადგან ჟამი გამხელისა არ დამდგარა. ყოველ შემთხვევაში ვისაც გსურთ ბიბლიაში წაიკითხეთ დანიელ წინასწარმეტყველი (თავი 12) და მესამე ეზრა. ვისაც მახვილი გონება აქვს თითქმის ყველაფერს მიხვდება. ახლა არის ქრისტეს დაბადებიდან და მისი ჯვარცმიდან ჩადებული კოსმიური ევოლუციის დასასრული და ახალი ევოლუციის დასაწყისი, რაც ნიშნავს საკაცობრიო ახალი ცხოვრების წესის დასაბამს, რაც თავისთავად ნიშნავს ჩვენს მიერ აღიარებული და მოქმედი თითქმის ყველა ღირებულებათა, ნგრევას, გადაფასებას და მსხვრევას. ამ პროცესის შეჩერების მცდელობა ბრიყვი პოლიტიკოსების მიერ კრახით დამთავრდება, დაირღვევა ყველა იმპერიები ხუთივე კონტინენტზე, დაიშლება რომის პაპის კურია, საეკლესიო რეორგანიზაცია, გარდაუვალია საქართველოში ილია მეორეს გაასამართლებენ, შევარდნაძე (კაენი) და საქართველოს ბანდიტური (კრიმინალური) დემოკრატია განწირულია, ზვიადი (აბელი) მთელს მსოფლიოში აღზევდება, საქართველოში შეასრულებს საკაცობრიო სულიერ მისიას, რაც ნიშნავს აღმოსავლეთის სულიერი სიმდიდრისა და დასავლეთის ტექნიკური ცივილიზაციის შეკავშირებას - სინთეზს. ამ საკაცობრიო მისიაზე წერია ბიბლიაში, რაც გარდაუვლად მივა მის ლოგიკურ შედეგამდე.

საქართველოს სულიერ მისიას კაცობრიობის წინაშე სახარებაში ჰქვია ლაზარეს აღდგინება, რაზედაც სხვა დროს უფრო ფართოდ გეტყვით.

ახლა დაიბადება დიდი კითხვა, ნუთუ ჩვენმა აკადემიკოსებმა ამაზე არაფერი არ იციან, მოკლედ გეტყვით ვინც იცის არ იტყვის (მტერს არ ეტყვის) კიდევაც. რომ თქვას არ დაიჯერებენ, ქართული ინტელიგენციის 99 პროცენტი ამ საკითხში პროფანია, ამიტომ ისინი ბოროტ-მოქმედებენ.

ნუგზარ ლატარია



# ჩემი ელჩობის ოდისეა

ილია ბარამიძე

რთული ხასიათი დამანათლა გამჩენმა. რთული და ჩემთვის ფრიად წამგებიანი.

1989 წლის აპრილის შუა რიცხვები იყო. სუკის თბილისის უმაღლეს კურსებზე ვმუშაობდი. გენერალ როდიონოვზე თავდავიწყებით შეყვარებული კურსების ხელმძღვანელობა რუსულ პრესაში მომრავლებულ ანტიქართულ სტატიებს ქსეროქსზე ამრავლებდა და თანამოაზრეებში ავრცელებდა. კურსების ქართველი თანამშრომლები მუდმივი თვალ-ყურის ქვეშ იყვნენ და ამ დროს მე, სუკის ოფიცერმა, გაფიცვა გამოვაცხადე პროტესტის ნიშნად. ჩეკაში ასეთ რამ ვის უნახავს, მოსკოვის ყურებამდე თუ მიაღწია ამ ამბავმა, გენერლობას არ მაღირსებენო, იფიქრა კურსების უფროსმა და პროფილაქტიკური საუბრების ურჩად არშემსმენი, სომხეთის დედაქალაქ ერევანში გამგზავნა ერთთვიანი მივლინებით.

ხარმა ხარს ურქინა და ბალახზე მიაგდოო, ამაზე თუ უთქვამთ. სომხური ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრში აღმოვჩნდი. ამაში დიდად დამეხმარა რუსთაველის საზოგადოების წევრობა და სომხეთში სასწაულმოქმედი კიდევ ერთი ჩემი საბუთი — ქართველობა. ამ საბუთმა პირველად ერევნის სასტუმრო „შირაქში" გასჭრა. ნომერი თუ გაქვთ-მეთქი, ვკითხე მორიგეს. სასტუმრო მიწისძვრით დაზარალებული ხალხითაა გამოტენილი, მაგრამ ქართველს უარს როგორ გეტყვიო, მიპასუხა მორიგემ და ანკეტა დამიდო წინ შესავსებად. ძალიან მიყვარს ქართველები, ვაჟკაცი, გულღია ხალხი ხართ. სომხეთს რომ მიწისძვრა დაატყდა თავს, სწორედ ქართველები მიეშველნენ პირველები, თვით ერევნელებსაც კი ჩაასწრეს უბედურების რაიონებშიო. მერე დავრწმუნდი, რომ ყოველ სომეხს ქართველთან საუბრისას ისე აუცილებლად მიაჩნია ამ უანგარო დახმარების აღნიშვნა, როგორც პირჯვრის გადაწერა ეჩმიაძინში შესვლისას.

ეროვნული მოძრაობის ხალხი სად იკრიბება-მეთქი, მორიგეს ვკითხე. იქვე სასტუმროს წინ კარუსელებიანი პარკისკენ მიმითითა. რომელიღაც პარტიის წევრები, რომლის არ ვიცი, აი, იქ იკრიბებიანო. ერთ საათში პარკში ვიყავი. ჭარმაგ ადამიანთა ჯგუფთან მივედი, რაღაცაზე გაცხარებით რომ დაობდნენ. დაშნაკები აღმოჩნდნენ, ძირძველი ერევნელები და რეპატრიანტები. გულთბილად მიმიღეს, ცხრა აპრილის გამო მომისამძიმრეს, ერი შემიქეს. ერთი მათგანი ისტორიის პროფესორად გამეცნო. ქართველთა და სომეხთა ძმობა ურყევიაო. თქვენს მენშევიკებთან ევროპაში საუკეთესო ურთიერთობები გვქონდა, ზოგიერთ საკითხში უთანხმოების მიუხედავადო. მერე მკითხა, როგორ უყურებს ქართული ეროვნული მოძრაობა ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის სომხეთისათვის დაბრუნების საკითხსო („ახალქალაქ", „ახალციხ", — ასე წარმოთქვამდა სახელებს, ალბათ, ასე უფრო სომხურად ჟღერდა). ჯგუფის სხვა წევრებს არ მოეწონათ პროფესორის საუბრის თემა. ნუთუ ქართველებმა ის დაიმსახურეს ჩვენგან, რომ ახლა ტერიტორიული პრეტენზიები წავუყენოთო? ქართველები თქვენზე ნაკლებად არც მე მიყვარს, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა ხომ უნდა აღდგესო, თქვა პროფესორმა და ამ თემას მერე აღარ დაბრუნებია.

ერთ რამეს დავაკვირდი: საქართველოში მეტნაკლებად განათლებულმა ქართველმა მეტი რამ იცის სომხებზე, ვიდრე სომეხმა ქართველებზე. მატენადარანის წინ მომიტინგე ერთმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა (ასე წარმომიდგა) მკითხა, ეს ნახევარმილიონიანი ხალხი როგორ უძლებთ იმპერიის ძალთა ასეთ დაწოლასო. ჩვენ ხუთნახევარი მილიონი ვართ, აქედან საკუთრივ ქართველები ოთხ მილიონამდე-მეთქი, ვუპასუხე. რას ამბობთ, შემოერთებულ ერებს — აჭარლებს, მეგრელებს, იმერლებს, კახელებს თუ გამოვაკლებთ, ქართველები ნახევარ მილიონზე მეტი არ იქნებითო. მეც ტყუილად მთვლით ქართველად, გურული ვარ, ჩემი სამშობლო, გურია ქართველებმა ქართლ-კახეთზე და იმერეთ-სამეგრელოზე ადრე დაიპყრეს-მეთქი, ვუთხარი და გავშორდი. თანაგრძნობის მზერა გამომაყოლა.

იმ დროს ერევანში საგანგებო მდგომარეობა იყო. კომენდანტის საათი მოქმედებდა. ბატონკაცურად დააბიჯებდნენ ხელჯოხიანი, მაგრამ უიარაღო ჯარისკაცები. ოპერისა და ბ●ლეტის თეატრი გუშაგ ჯარისკაცთა ალყაში იყო. კოსმოსური კვლევის ცენტრში უფრო ადვილად შეაღწევდი კაცი, ვიდრე თეატრის ტერიტორიაზე. საქმე შემდეგში ყოფილა: რამდენიმე თვის უკან თეატრისწინა მოედანზე მიტინგი იმართებოდა, თურმე. საგანგებო წესების შემოღებისთანავე კომენდანტურის ბრძანებით, მიტინგები აიკრძალა და თეატრის მოედანიც ალყაში მოაქციეს. მალე ისევ განახლდა მიტინგების მოწყობა. ყოველდღიურად მრავალათასიანი თავყრილობები იმართებოდა მატენადარანთან, უმაღლეს საბჭოსთან, ცეკასთან, უნივერსიტეტთან, საბრალო ჯარისკაცები კი დღე-ღამის განმავლობაში იცავდნენ ფუნქციადაკარგულ თეატრის მოედანს, ვინმე არ შეიპაროს და მიტინგი არ მოაწყოსო. ამას ჰქვია კომუნისტური წინდახედულობა.

ქალაქის ცენტრში ერთი პატარა, ლამაზი სკვერია, უზარმაზარი ჭადრებითა და მოვლილი წყაროთი, რომლის მარმარილოს ფასადსაც საიათნოვას ბარელიეფი ამშვენებს. ეს სკვერი იყო სომხური ეროვნული მოძრაობის ცენტრი. აქ წყდებოდა ბრძოლისა თუ მშვიდობის, შრომისა თუ გაფიცვის საკითხები. აქ იქმნებოდა მებრძოლი რაზმები, აქ იცვლებოდა ინფორმაცია. რატომღაც, ამ სკვერს სამხედრო კომენდანტურა ყურადღებას არ აქცევდა. სკვერში შესულს ქართული საუბარი შემომესმა. ერთ სკამ-მერხზე რამდენიმე შუახნის ქალი საუბრობდა სომხურად, შიგადაშიგ ქართულსაც გაურევდნენ. მივედი და ქართულად მივესალმე. გაუხარდათ ჩემი ნახვა. საჩხერის რაიონიდან ვართ ჩამოსახლებულები, აქ ქართველს იშვიათად ნახავს კაცი და ქართული რომ არ დაგვავიწყდეს, ერთმანეთს ხშირად ქართულად ვესაუბრებითო. თქვენ რაზე ჩამობრძანდითო, მკითხეს. ქართული არაფორმალური გაზეთის კორესპონდენტი ვარ, მინდა სომხურ ეროვნულ მოძრაობაზე წერილების სერია დავწერო-მეთქი. ვთქვი თუ არა, ერთი მათგანი წამოდგა და გაუჩინარდა. ცოტა ხანში დაბრუნდა და კომიტეტის ხელმძღვანელობა გთხოვთო, მითხრა. თურმე კომიტეტის წევრებისათვის მოუხსენებია იქვე, საქართველოდან ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ჩამოვიდაო. ოთხმოც წელს გადაცილებულ სიმპათიურ მოხუცთან მიმიყვანეს. ძველი არმიის ტანსაცმელში იყო სანახევროდ გამოწყობილი, მკერდზე ორდენი ებნია ანდრანიკ ვოზანიანის გამოსახულებით. ეს ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქია, დიდი ანდრანიკის თანამებრძოლი, თუ რაიმე პრობლემა წამოგეჭრებათ, მას მიმართეთ, ყველა თქვენთვის საჭირო ინფორმაციასაც მისგან მიიღებთო, მითხრეს.

ასე, შემთხვევის წყალობით, ვიქეცი ქართული ეროვნული მოძრაობის ელჩად სომხურ ეროვნულ მოძრაობაში. თანაშემწედ მუშელი დამინიშნეს, ყოფილი ტაქსისტი, იმჟამად ტერორისტული ორგანიზაციის წევრი.

იმავე დროს, ხუთ საათზე, მატენადარანის წინ სამასათასიანი მიტინგი გაიმართა. პრეზიდიუმში მიმიწვიეს. მიტინგის წამყვანმა თბილისში 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილი გამოაცხადა. გარინდული ხალხის თავს ზევით სამასი ათასი მუშტი აღიმართა. გვერდით მდგომ ქალბატონს გავხედე, რომელმაც ნებაყოფლობით იკისრა ჩემი თარჯიმნობა. ტიროდა.

სახელმწიფო კონსერვატორიაში წამიყვანა მუშელმა. ვესტიბიულში უზარმაზარი სტენდი იდგა ქართული, ლიტვური და ესტონური გაზეთებით. ამ სტენდიდან იღებდა ხალხი ახალ და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ვესტიბიულში ფოტოსტენდი იდგა, თბილისური ტრაგედიის ამსახველი სურათებით. ბევრი მინახავს ამ სტენდებთან მუშტმომუჭული და თვალცრემლიანი. ბევრი ამოოხვრა მსმენია აქ.

თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" მატჩის დღე ახლოვდებოდა. იგი ერევანში უნდა გამართულიყო, მაგრამ მთავრობას ეშინოდა, შეხვედრა ეროვნული მოძრაობის ახალ ზვირთად არ ქცეულიყო და შეეცადა თბილისელთა დაყოლიებას, რათა მატჩი სოჭში გამართულიყო.



რას იზამენ ქართველები? აი, კითხვა, რომელიც მაშინ ყველა სომეხს აწვალებდა. დინამოელთა გადაწყვეტილებამ მატჩის ერევანში გამართვის შესახებ ფრთები შეასხა მებრძოლ ერევანს. მთელი სომხეთი ემზადებოდა ქართველთა ღირსეულად შესახვედრად. არაფერს ვამბობ იმ ზღაპრულ შეხვედრაზე, აეროპორტში რომ მოუწყვეს ჩვენს სპორტსმენებს. მატჩი კი მართლაც დაუვიწყარი იყო. სტადიონ „რაზდანზე“ მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედით. ამდენი მოზეიმე სახე ჯერ არ მინახავს. ჩემს შესვლასაც სექტორში ოვაციებით შეხვდნენ. რეპროდუქტორებიდან ქართული ჰანგები იფრქვეოდა. სარბენ ბილიკზე უზარმაზარ სომხურ დროშას დაატარებდნენ და რომელ სექტორსაც გაუსწორდებოდა, ის სექტორი ყიჟინით წამოიშლებოდა. ასეთი რამ მხოლოდ უცხოეთის სტადიონებზე მინახავს. მუშელი გადმოიხარა და მკითხა, თქვენ ეროვნული დროშა თუ გაქვთო. დადებითი პასუხი რომ მიიღო, ოთხფერიანი პასტა მომაწოდა, სიგარეტის კოლოფზე დამიხატე თქვენი დროშაო. ნახატი გამომართვა და გაქრა. სად წავიდა-მეთქი, მეზობელს ვკითხე. საჩუქარს გიმზადებსო, მიპასუხა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა მუშელი. რის საჩუქარი! ხელში არაფერი ეჭირა. უცებ ყიჟინა, ღრიანცელი და ტაში ატყდა. გავიხედე და ... ოი, საოცრებავ, გაგრძელდი წამო! ნელი, დარბაისლური რხევით, ტრიბუნების წინ მოირწეოდა უზარმაზარი, ნაცხრააპრილარი ჩვენი სამფეროვანი დროშა. ხალხი ფეხზე ადგა. მეორე მხრიდან სომხური სამფეროვანი დროშა დაიძრა, ასევე ტაშის გრიალში, ქართულ დროშასთან მივიდა და... ორივე გაუჩინარდა ჩემი მხედველობის არედან. მერე ისევ გამოჩნდა ერთმანეთზე ნემსითა და ძაფით სახელდახელოდ გადაკერებული ორი დროშა — ქართული და სომხური, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში დასეირნობდა ტრიბუნებზე ხალხის აღტაცებული ყიჟინისა და ოვაციების თანხლებით.

დაიწყო თუ არა მატჩი, მსაჯმა თამაში შეაჩერა. დიქტორმა მაყურებელს 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ მოუთხრო და წუთიერი დუმილი გამოაცხადა. ხალხი წამოდგა, მის თავს ზემოთ ათასობით მუშტი აღიმართა, მაგრამ წუთიერი დუმილის შემდეგ არ დაშვებულა ისინი, კიდევ დიდხანს ირხეოდნენ თავებს ზემოთ სკანდირებისას: „პოზორ რუსსკიმ!“ „პოზორ რუსსკიმ“!

მოედნის გარშემო გამწკრივებულმა სამხედროებმა სტადიონი დასტოვეს.

მატჩში უგოლო ფრე აღინიშნა. სხვაგვარი ანგარიში არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მთელი სტადიონი „დინამო“, „დინამო“ გაჰყვიროდა და თუ რომელიმე სომეხი ფეხბურთელი, უნებლიეთ, დინამოელთა კარისკენ გაგზავნიდა ბურთს, ტრიბუნიდან გინებით უმასპინძლდებოდნენ.

ცხრა აპრილის მსხვერპლთა ორმოცი ახლოვდებოდა. თბილისში წამსვლელთა დელეგაცია ადგენდნენ. საქართველოსთვის საჩუქარს ვამზადებთო, მითხრეს. სომხური ხაჩკარის (ჯვრიანი ქვის) პროექტი მაჩვენა სამველმა, დელეგაციის ერთ-ერთმა ორანიზატორმა და, თუ არ ვცდები, ხაჩკარის ერთ-ერთმა ავტორმა. დანიშნულ დღეს საიათნოვას სკვერთან სატვირთო მანქანით მოასვენეს ხაჩკარი, სომხური კულტურის სიამაყე, რომელიც ახლა ავლაბარში სომხური ეკლესიის წინა მოედანს ამშვენებს. რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა დელეგაციის და ჯვრიანი ქვის გასაცილებლად და თბილისისაკენ დაიძრა მანქანების კოლონა. ისევ ცრემლიანი თვალები. მაღლა აღმართული მუშტები. მიხა არაბულს დავურეკე, რუსთაველის საზოგადოებაში, დელეგა-



ც... წამოსვლის შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებულმა დელეგატებმა მამცნეს და მომილოცეს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა განთავისუფლება საპყრობილედან.

9 აპრილს დაღუპულთა შორის ორი სომეხი ქალიც ყოფილაო, დაუფარავი სიამაყით მითხრა ერთმა სომეხმა. მივხვდი, ნანა და მარინა სამარგულიანები ჰყავდა მხედველობაში. არ მითქვამს, სამარგულიანი სომხური კი არა ქართული, სვანური გვარია-მეთქი. „თქვენიც იყვნენ, ძმაო, ისინი, თქვენიც“ — ვფიქრობდი გულში.

ცხრა აპრილის წამებულნი არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთისა და მთელი კაცობრიობის კუთვნილებანი არიან, მათი ეროვნულობის მიუხედავად, რადგან ბოროტების იმპერიის ნგრევას სწორედ მათი სიკვდილი დაედო საძირკვლად, თუმცა დღეს ამაზე წერას, რატომღაც, ერიდებიან. სხვისი არ ვიცი და მე სწორედ ცხრა აპრილმა გამათბობინა უბეში მანამდე უყურადღებოდ მიგდებული იარაღი, რომელსაც გაცივება მხოლოდ მაშინ უწერია, როცა ჩემი სხეული გაცივდება ან მაშინ, როცა ისეთ საქართველოს დავინახავ, როგორზეც ის ჩვენი წამებული დები და შვილები ოცნებობდნენ.

უცებ გაირბინა ერთმა თვემ და ჩემს სომხურ ოდისეასა და უნებლიე ელჩობასაც დაესვა წერტილი. ასე გავიცანი მშრომელი, მებრძოლი, ზვარტნოცის, გარნისა და გელარტის შემოქმედი სომეხი ხალხი. ჩემთვის აღმოჩენა იყო მისი არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა, ვაჟკაცობა და ჭირსა შიგან მყოფი მოძმისთვის ნუგეშისცემის უნარი.

ღრმად მჯერა, ნამდვილი ეროვნული მოძრაობა ყველგან წმინდაა და იგი ისევე ვერ შეირევს სულბინძურ ადამიანებს, როგორც თავანკარა ქართული ღვინო-კუპრს.

## პოლემიკა

### წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის მე-13 ნომერში დაიბეჭდა ბატონ გაიოზ ერაძის წერილი სათაურით „ინტელექტუალური ტერორიზმი“.

ბატონი გაიოზი ამ წერილში თავგანწირვის გზით დღემდე მიღწეულ ეროვნულ მოძრაობას ეგრეთ წოდებულს ეძახის. არც სხვა მხრივ დაიშურა ჩვენი მისამართით „შესამკობელი“ სიტყვები.

პროზად პასუხი დიდ ადგილს დაიჭერდა, ამიტომ კვლავ პაროდია ვარჩიე.

ბატონო ნოდარ, იმედია თქვენ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, ამ ჟანრს ათვალწუნებით არ შეხვდებით. პოლიტიკური ბატალიების დროს, ჩვენი დიდი სამოციანელებიც ხომ არ თაკილობდნენ მას.

პატივისცემით რუსლან მიქაბერიძე

## დოქტორო, ჩემგან მოკლულო!

ეგრეთწოდებულს ეძახის
ეროვნულ ბრძოლას ერაძე,
და ხოა ახი ავაცვა,
ამ ჩემი კალმის წვერაზე!
დგას თეატრალურ პოზაში,
გზაჯვარედინზე ბრძოლების,
რატომღაც თავზე უდვია
განაწილება როლების...
ვინ წავიდეს და ვინ დარჩეს
ამ „დადინჯებულ“ ბრძოლაში,
(დარჩენილები ივლიან
ერაძის პოლიტსკოლაში)...
ზოგი ამ ამბებს ყოველთვის
ფარდის ღრიჭოდან უცქერდა,
და გული სადღაც წელსქვევით
უხერხულ ადგილს უძგერდა
მოძრაობიდან რომ გვდენი
„პედაგოგური“ რჩევებით,
დაკავებული რომა ხარ
ჩვენი გზის გამორკვევებით,
შენ თვითონ წადი შენ დარგში
იცხოვრე გამოკვლევებით,
მითუმეტეს თუ გაშინებს
ომი სროლა და ნაგანი,
სხვა უფრო მშვიდი მოძებნე
გამოკვლევების საგანი...
ვერ შევები, რადგან გწყურია
პოლიტ ქურუმის წოდება.
და ეს ზნეობის თემაზე
პრეს-ტელე აქოთქოთება,
შენი „დაბომბვის“ შესახებ
მოწამებრივი გოდება,
არის „იმიჯის“ შოვნისთვის
მარტივი მიდებ-მოდება.
ვინც გუშინ ვერ გაასალა
„უსისხლო“ ბრძოლის მოძღვრება,
ახლა ბრძენკაცის ადგილზე,
უკანა რიცხვით მიძვრება...
მაგრამ ახსოვდეს ვინც ახლა
მაგ მიმართებით ბჟირდება,
სახელის შოვნას, სამყოფი
გაბედულებაც ჭირდება!..
გატყავებას რომ გვპირდები,
ინტელიგენტო ბიძია,
რაც ღმერთმა მოგვცა გაიოზ
შენ ჩვენთვის არ მოგიცია...
რომ მოგვდექი და დაგვთათხე,
ოდნავაც აღარ გვიცოდებ,
რაც სალანძღავი სიტყვაა
სუყველას ერთად გვიწოდებ!
გვიმტკიცებ გიჟები ხართო,
სიმართლე ჩემთან არიო,
ჩემ ჭკუაზე რომ გეარათ,
არ დაგვჩეხავდა ჯარიო.
აი, ამგვარი აზრებით
ტვინები რომ ვერ არიო,
მიტომ გესროლე ეს ლექსი,
სატირის თოფი გკარიო,
ახლა მკითხველმა განსაჯოს,
ჩემი ყოველი ბწკარიო,
ეს პაროდიაც და ძველიც,
შენზედ ალალი არიო...
დოქტორო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!..

## ცეცხლში შობილი სპექტაკლი

რუსთაველის თეატრში პრემიერაა. 11 აპრილიდან წარმოდგენილი იქნება უილიამ შექსპირის ორმოქმედ...ანი ტრაგედ... „ტიტუს ანდრონი-



კუსი“, რომელსაც გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოს **ცეცხლში შობილი სპექტაკლი.**

6 იანვარს, როცა რუსთაველის გამზირი ჯერ კიდევ ძმათამკვლელი ომის ხანძარში იყო გახვეული, შეიკრიბა თეატრის კოლექტივი რაღაც სასწაულით გადარჩენილ შენობაში. უკვე 11 იანვარს რეჟისორი და მსახიობები სპექტაკლის მომზადებას შეუდგნენ.

რეპეტიციები მიმდინარეობდა ცივ და ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე, საოცარი სულიერი სიმძიმილის ატმოსფეროში...

ნათქვამია, ჭეშმარიტი ხელოვნე... მარტო სულიერ საზრდოს გვაძლევს, არამედ ცხოვრებასაც გვასწავლისო.

დღეს, ჩვენს ამ ტრაგიკულ ვითარებაში ტრაგედიით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ რუსთაველთა ის თავდაუზოგავი შრომა, რომლის შედეგიცაა „ტიტუს ანდრონიკუსი“ — აღტაცების საგანიც არის და ჭკუისსასწავლებელი მაგალითიც. განსაკუთრებით შრომისადმი ასეთი საყოველთაო გაუცხოვებისა და ზურგშექცევის ფონზე.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ა.ვარსიმაშვილი.

მთავარ როლებში მონაწილეობენ სახელგანთქმული ქართველი მსახიობები კ.კავსაძე, გ.ხარ...ძე, ე.მალალაშვილი, ნ.ფაჩუაშვილი, ჯ.ღოლანიძე და სხვები.

მაშ ასე, ხვალ, 11 აპრილს, რუსთაველის თეატრში პრემიერაა!

წარმოდგენილი იქნება უილიამ შექსპირის ორმოქმედებიანი ტრაგედია „ტიტუს ანდრონიკუსი“!

ყოველ შაბათ-კვირას, პირველ საათზე, რუსთაველის თეატრი ელის პირუთვნელ ქართველ მაყურებელს!

კ. იმერი

## პაატა კოღუაშვილი:

# პრივატიზაცია თვითმიზანს არ წარმოადგენს

უკანასკნელ წლებში ჩვენში მიმდინარე მოვლენებმა, ნებით თუ უნებლიედ ადამიანები ეჭვიანი გახადა. ის, რაც გუშინ უტყუარ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, დღეს სიცრუედ შეირაცხა. ხუთიოდე წლის წინ კაცს ძილშიაც არ დასიზმრებია, რომ სახელმწიფო დღეს გლეხებს გადასცემდა მიწას კერძო მფლობელობაში. უფრო მეტიც, გადასცემდა უსასყიდლოდ. ეს ისეთი მკვეთრი შემობრუნება აღმოჩნდა, რომ გლეხები, რბილად რომ ვთქვათ, სახტად დარჩნენ. აქა—იქ ჭორიც დაირხა, გლეხები უარს ამბობენ მიწის აღებაზეო. ეს ჭორი, საბედნიეროდ, უსაფუძვლო აღმოჩნდა. ამ და პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე ამომწურავი პასუხები გაგვცა საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა პაატა კოღუაშვილმა.

ცნობისათვის: ცოლშვილიანია, ჰყავს ორი გოგონა, ამ თვის ბოლოს ელოდება მესამე შვილს. განათლებით აგრო—ეკონომისტია, ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას, არის რამდენიმე სტატიის ავტორი. ახლო წარსულში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი და აგრარული რეფორმის კომისიის თავმჯდომარე. ამ თანამდებობიდან გათავისუფლდა 1991 წლის 1 ნოემბერს, როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი. არის საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, ,,მწვანეთა" და საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული პარტიების საბჭოს წევრი. 1989-90 წლებში სახალხო ფრონტთან ერთად იყო მესხეთისა და ქართლის რიგი რაიონების მოსახლეობისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გადაცემის ერთ-ერთი ინიციატორი.



**— ბატონო პაატა, გლეხები ისეთ სასიხარულო ფაქტს, როგორიცაა მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემა, ეჭვითა და უნდობლობით შეხვდნენ. თქვენი აზრით, რა არის ეს — შიშით გამოწვეული კაპრიზი თუ სოციალური გარანტიების შენიღბული თხოვნა?**

— საზოგადოდ, ნებისმიერი სიახლე გარკვეულ ეჭვებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, გლეხების დაეჭვება ბუნებრივი რეაქციაა. მაგრამ მერწმუნეთ, ეს დროებითი მოვლენაა. უკვე თანდათან ვრწმუნდებით, რომ გლეხი არ უფრთხის მიწის საკუთრებაში აღებას. რაც შეეხება გლეხობის გარკვეული ნაწილის ფრთხილ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, ჩემი აზრით ამას თავისი საფუძველი აქვს. ჩვენი დანგრეული ეკონომიკა, უმოქმედოდ გაჩერებული სამრეწველო საწარმოები თუ ჰიპერინფლაცია, მცირე მექანიზაცია, საწვავისა და სხვა რესურსების არასტაბილური მომარაგება, ცხადია, აშინებს გლეხს. ეს მეტად მწვავე პრობლემებია, რომელთა გადაჭრა კომპლექსურად უნდა მოხდეს. სოფლის მეურნეობა მთელი ეკონომიკური სისტემის ერთი ნაწილია. იგი ავტონომიურად ვერ იარსებებს, სწორედ ამიტომაა საჭირო მისი ერთიან სისტემაში გააზრება. მიწის პრივატიზაცია პირველი რეალური ნაბიჯია დიდი სოციალური რეორგანიზაციისა. რაც შეეხება იმას, რომ გლეხს არ უნდა მიწის აღება — ეს არამართებული განცხადებაა — ერთგვარი ილუზიაა, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია. თუ ჩვენ შევძლებთ დავარწმუნოთ იგი, რომ მისი შრომის ნაყოფი მართლაც მისი საკუთრებაა, რომ სახელმწიფო მხოლოდ ერთ, ხელმისაწვდომ გადასახადს დაუწესებს, თუ მოხდება ერთგვარი სტაბილიზაცია და ბაზარზე გაჩნდება სასოფლო—სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო რესურსები, მერწმუნეთ, არავითარი საფუძველი აღარ იარსებებს ეჭვისათვის. ჩვენ გადავალთ იმ სისტემაზე, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოსათვის არის მიღებული „მიწის კერძო საკუთრება და წარმოებული პროდუქციის კერძო მოხმარება". განხორციელდება სწორედ ის ეკონომიკური „ბუმი", რომელიც კანონზომიერად მოჰყვება არარაციონალურიდან რაციონალურზე გადასვლას.

რაც შეეხება სოციალურ გარანტიებს — ეს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურ გარანტიებს სოფელი შეიქმნის თავისი თავისთვისაც და ქალაქისთვისაც. სოციალურ გარანტიებს კი სტაბილური საზოგადოებრივი ცხოვრება და პრინციპულად ახალი ტიპის სახელმწიფო სტრუქტურები განახორციელებენ.

**— უფრო რეალური ხომ არ იქნებოდა ჯერ ნაწილობრივად გატარებულიყო მიწის პრივატიზაცია და მერე იმისდა მიხედვით თუ რა შედეგს მოგვცემდა, მისცემოდა მასშტაბური ხასიათი?**

— პრივატიზაცია არ წარმოადგენს ერთჯერად სახელობრივ აქტს — ეს არის ხანგრძლივიდა სათუთი პროცესი. მას სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი გააჩნია — პოლიტიკური, ინსტიტუციონალური და ტექნიკური. დღეს პოლიტიკური შემადგენელი განსაზღვრავს პრივატიზაციის დაწყების აუცილებლობას. პირველ ეტაპზე საზოგადოებამ რეალურად უნდა დაინახოს, რომ ხდება ძირეული ცვლილებები საზოგადოების მოწყობაში, ხორციელდება რეალური ეკონომიკური მექანიზმისაკენ შემობრუნება. ჩვენ აქამდე ვეყრდნობოდით ისეთ მექანიზმებს, რომლებშიც თვით ადამიანი მწარმოებელი — მისი ძირითადი მოტივები არ იყო გათვალისწინებული. ადამიანი გაუცხოებული იყო თავისი შრომის ნაყოფისაგან. მოქმედებდა პრინციპი — „მიწაზე სახელმწიფო საკუთრება და წარმოებული პროდუქციის სახელმწიფო მოხმარება".

რაც შეეხება პრივატიზაციის შემდგომ ეტაპებს ჩვენ ისინი უფრო მეტი სიდინჯითა და სიფრთხილით უნდა განვახორციელოთ. აქ უნდა გავითვალისწინოთ როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება, ასევე ჩვენი სპეციფიკის ანალიზის შედეგები. ხშირად, ამ პროცესს ამა თუ იმ ქვეყანაში დადგენილი მოდელით გეგმავენ. ივიწყებენ რა, რომ პრივატიზაცია არც პანაცეაა და არც ტექნოლოგიური სიახლე. იგი მისადაგებული უნდა იყოს ჩვენი ერის ეთნოფსიქოლოგიურ სპეციფიკასთან ქვეყნის გეოგრაფიული და ეკონომიკური გარემოს პარამეტრების ზედმიწევნით გათვალისწინებასთან.

ამ მიმართულებით ჩვენ სერიოზული მუშაობას ვაწარმოებთ, რომელიც მოკლე ხანში, ალბათ, გამოიღებს შედეგს. ახალ პარლამენტს შესაძლებლობა ექნება განიხილოს მიწის პრივატიზაციის შემდგომი ეტაპის და საერთოდ, მთლიანი პროცესის კონცეფცია, რომელიც ჩემი აზრით, მიღებული უნდა იქნეს და მისი რეალიზაციის შედეგებიც არ დააყოვნებს.

**— რა კავშირს ხედავთ მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემასა და ეკოლოგიურ კატაკლიზმებს შორის. კონკრეტულად, მოწესრიგდება თუ არა ეკოლოგიური პრობლემები, როცა მიწას კერძო მფლობელი ეყოლება?**

— საქართველოს მოქალაქეს ჩვენ მიწას კერძო საკუთრებაში ამჟამად უსასყიდლოდ გადავცემთ. ის იქნება ამიერიდან მისი ბატონ—პატრონი. აქედან გამომდინარე, ის დაინტერესდება მისი მარჩენალის, სიუხვისა და სიმდიდრის წყაროს კარგ მდგომარეობაში ქონებით. უფრო მეტიც, კერძო მფლობელი დაინტერესებული იქნება მთლიანად გარემოს ეკოლოგიური სისუფთავით. ვინაიდან ეკოლოგია რეგიონალური ცნება არ გახლავთ. მიწის თანამედროვე მფლობელის ინტელექტუალური დონე დღეს განუზომლად მაღალია. გაუნათლებელ და უცოდინარ მიწაფლობელს საბაზრო ეკონომიკა ვერ იგუებს, იგი გაკოტრდება. დღეს თითქმის ყველამ იცის, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ფასი განუზომლად დიდია, ვიდრე პესტიციდებითა და ნიტრატებით დანაგვიანებულისა. ამიტომ სავარაუდოა, რომ ეკოლოგიური ვითარების მკვეთრად გაუმჯობესებისთვის მესაკუთრე—მწარმოებელი დაინტერესებული იქნება. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უცებ არ მოხდება. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ გარემოს გაჯანსაღებას. ამაში კი დიდი როლი ეკისრება ეკოლოგიური განათლების, თვითშეგნების ამაღლების, „მწვანე" პოლიტიკის გატარებას, რომელიც ჩვენი მომავალი სახელმწიფოს ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პირნციპი უნდა გახდეს.

მესაკუთრე ფუნქციონალურად უნდა გავხადოთ დაინტერესებული გარემოს ეკოლოგიურ სისუფთავით, ეკონომიკური ბერკეტები ამისათვის საკმარისზე მეტი ეძლება გამოიძებნოს. მსოფლიო ბაზარში ჩვენი ჩართვა უდა მოხდეს ყველაზე სუფთა ეკოლოგიური პროდუქციის წარმოების და არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

ჩვენთან დღეს შექმნილია ყველა პირობა, რომ საქართველო ჩაერთოს საერთაშორისო ორგანიზაციების იმ სისტემაში, რომლებიც არეგულირებენ, ხელს უწყობენ აგროსასურსათო კომპლექსის განვითარებას და ჯანმრთელი ეკოლოგიური პროდუქციის წარმოებას. იდგმევა კონკრეტული ნაბიჯები ამ ორგანიზაციებში საქართველოს სრულუფლებიანი მონაწილეობისათვის. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკში გაწევრიანებასთან ერთად ჩვენ გავხდებით კვებისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ფაო-ს) სრულუფლებიანი წევრიც. ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ გაერთიანებებში გახდება აგრო-ეკოლოგიური და მთლიანად სასიცოცხლო გარემოს მოწესრიგების გარანტი.

ჩვენ შედარებიით მომგებიან პოზიციაში ვიმყოფებით. ჩვენმა განუვითარებელმა ეკონომიკამ ჯერ ვერ შეძლო ბოლომდე დაერღვია ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსი. ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ და დღესვე დავიწყოთ კონკრეტული საქმიანობა გარემოს გაჯანსაღების მიმართულებით. ასე რომ, მიწის პრივატიზაცია, მიწისათვის მზრუნველი პატრონის მიჩენა პირველი რეალური ნაბიჯია ამ გზაზე.

**— როგორ გესახებათ მიწის რეფორმის შემდგომი ეტაპი?**

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მიწის რეფორმა მთელი ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენს. ამიტომ საჭიროა შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტატეგიული კონცეფცია. მის შექმნას ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მით უმეტეს, რომ ამ სამუშაოებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა დარგის პროფესიონალებმა და დასავლეთის ექსპერტებმა, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში პრივატიზაციის გატარების, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გამოცდილება გააჩნიათ. უაღრესად საინტერესოა ვაშინგტონში არსებული პრივატიზაციის ცენტრის გამოცდილების გაცნობა. აუცილებლად მიმაჩნია ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გაზიარება პრივატიზაციის დარგში. ამ უხვი ინფორმაციის ანალიზი ჩვენ შესაძლებლობლას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ბევრი შეცდომები, სწორედ ამ მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა ეკონომიკური რეფორმის განხორციელების შტაბი და სათათბირო, რომელიც მუშაობას უკვე შეუდგა. ეს სტრუქტურა წარმოადგენს იმ რეალურ, რაციონალურ ჩანასახს, რომელიც ჩვენი მომავალი ეკონომიკის ძლიერი საყრდენი იქნება.

გარდა ამისა, უნდა მოხდეს ევროპულ ბაზარში ჩვენი ეკონომიკის ინტეგრირება, გათვალისწინებული უნდა იქნას არსებული კონიუნქტურა მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები. თავისუფალ სამყაროში ჩვენი შესვ· ჩვენგან მოითხოვს რაციონალურ გათვლებს და სწორი სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრას. ჩვენ უნდა გავხდეთ საინტერესო და სასურველი პარტნიორი დანგრეული კედლის მიღმა არსებული სამყაროსათვის. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი მეურნეობრიობის იმ უნიკალური ეროვნული სპეციფიკის შენარჩუნებით, რომელსაც ეთნოკულტურული, ხასიათობრივი ერთობლიობა განსაზღვრავს. ქართველი არ შეიძლება გადაიქცეს მხოლოდდამხოლოდ მჭამელ და მომნელებელ სუბიექტად. იგი შემოქმედი უნდა დარჩეს თავის მიწაზე. ჩვენ 70 წლიანი ფსიქოლოგიური ომი გავიარეთ და ფერფლიდან უნდა აღვდგეთ ისე, როგორც აღდგა გერმანია საკუთარი იმიჯითა და თვითშეგნებით, აღმავალი ეკონომიკითა და თვითმყოფადი კულტურით.

პრივატიზაციის პირველი ეტაპი, საშუალებას მოგვცემს შევაჩეროთ ეკონომიკური სტაგნაციის პროცესი, აღმოვფხვრათ დეფიციტი პირველი მოთხოვნილების პროდუქტზე. შემდგომი მუშაობა უნდა გაიშალოს იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში ჩამოყალიბდება. პირველ ეტაპზე ეს უნდა იყოს სახელმწიფოს კუთვნილებაში დარჩენილი მიწების საკონკურსო საფუძველზე გაცემა საიჯარო და სარენტო წესით. კონკურსით, იჯარით გაცემის წესი, მიწას მოუძებნის არა ისეთ მესაკუთრეს, რომლისთვისაც მიწას ექნება მხოლოდ კაპიტალის ღირებულება, არამედ პატრონს, რომელიც შეძლებს მის დამუშავებას და სათანადოდ მოვლას. ამასთან, სახელმწიფო დააწესებს შეღავათიან ბეგარას მწარმოებლისათვის თუ ისინი მომხმარებელთა შორის უპირატესობას სახელმწიფოს მიანიჭებენ. ეს იქნება ის ეკონომიკური საბაზრო ბერკეტი, რომელიც არეგულირებს პროდუქციის ბრუნვის ოპტიმალურ რეჟიმს. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ასორტიმენტის რეგულირებას, მას ეფექტურად გადაწყვეტს დიფერენცირებული გადასახადის შემოღება, იჯარით აღებულ მიწაზე სახელმწიფოსათვის საჭირო კულტურების წარმოება სტიმულირებული იქნება შესაბამისი შეღავათების ეკონომიკური სისტემით.

დავიწყეთ რა მიწის პრივატიზაცია, ჩვენ გადავდივართ მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე. ჩვენ ვცვლით ურთიერთობას მწარმოებელსა და წარმოების საშუალებებს შორის, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ვახორციელებთ სოციალური რეორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს პროცესს — ეს დიდი ეკონომიკური რევოლუციაა, რომელსაც საზოგადოების კეთილდღეობა უნდა მოჰყვეს. მართალია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს.

**— მიწის პრივატიზაციას ხომ არ მოჰყვება კორუფციის გამოცოცხლება და დანაშაულებრივი სამყაროს ხელის მოთბობა?**

— სავარაუდოა, რომ პრივატიზაციის პროცესის განხორციელებას თან მოჰყვება ბევრი ნეგატიური მოვლენა. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი ბიუროკრატი მუშაკი ხელის მოთბობას ცდილობდეს ამ რთული პროცესის მიმდინარეობის ჟამს. პრივატიზაცია, ზოგადად, თვითმიზანს არ წარმოადგენს. იგი პროცესია, ხანგრძლივი პროცესი, რომლის საბოლოო მიზანი ადამიანის გათავისუფლება და თავისუფალი საზოგადოების შექმნაა. საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა თავისუფალი შრომის დამკვიდრებისა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს თავისუფალი ადამიანი. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი კორუფციის და სხვა ნეგატიური მოვლენების მინიმუმამდე დაყვანა.

რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ მიწებს — აქ კორუფციის შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს სახელმწიფო მოწყობის იმ რეგიონალური სტრუქტურების ჩამოყალიბებით, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებას შეეფერება და რომლისკენაც ჩვენ მიზანმიმართულად მივისწრაფით.

მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი სტაბილიზაცია ახალი პარლამენტის არჩევნები შექმნის ნიადაგს სწორედ ასეთი რაციონალური მართვისა და საზოგადოებისათვის კონტროლის ფუნქციების მატარებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის. შეიქმნება ახალი საბანკო—საფინანსო სტრუქტურები, საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც დაარეგულირებენ პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობას.

ესაუბრა
მარინა ტლაშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წ. | 1989 წ. | 1992 წ.



—დირექტორად კი დაგნიშნავ მარა, პარტიის წევრი ხარ?
— კი ბატონო, 1913 წლიდან.
— კაი, აბა.

—დირექტორად კი დაგნიშნავ მარა, პარტიის წევრი ხარ?
— როგო:რ გეკადრებათ ბატონო, ეროვნულ მოძრაობაში ვარ თითქმის სამი თვეა.
— დავნიშნოთ!

—დირექტორად კი დაგნიშნავ მარა, ეროვნულ მოძრაობაში თუ მოძრაობდით?
— რას ამბობ ჭირიმე, ახლოს არ გავკარებივარ მაგენს.
— გააფორმეთ!

# გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

პატივცემულო რედაქცია, უმორჩილესად გთხოვთ დაგვეხმაროთ იმის გარკვევაში, თუ რა უშლის ხელს მარტვილელ მშრომელთა იმ სამართლიან მოთხოვნის სისრულეში მოყვანას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ ბოლო პერიოდში გაზეთ „საქ.რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ მთავრობის დადგენილებამ (რაიონისა და ქალაქის მმართველობის ადგილზე, ხალხის მიერ არჩევის თაობაზე) საზოგადოებაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია, რადგან ჩვენი არსებობის მანძილზე, ხალხს პირველად მიეცა შესაძლებლობა რაიონის თუ ქალაქის ხელმძღვანელი თვითონ აერჩია. დავეყრდენით, რა ზემოხსენებულ დადგენილებას ა.წ. 14 თებერვალს, მარტვილელ მშრომელთა აქტივის კრებაზე, რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ავირჩიეთ ლეონტი შოთას ძე ჯლარკავა (კაცი რომელმაც რაიონის მშრომელებში, თავის მაღალი ზნეობით, ინტელექტით, კაცთმოყვარეობითა და კანონიერი საქმიანობით დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა). ჩვენს კრებას ჩვენივე თხოვნით ესწრებოდნენ რაიონში ჩამოსული, მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებელი მუშაკები დავით ჩაჩუას ხელმძღვანელობით. კრების ოქმი და სხვა საჭირო საბუთები დროულად წარვადგინეთ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სადაც შენიშვნა მოგვცეს იმის გამო, რომ არჩევნები ფარული კენჭისყრით არ იყო ჩატარებული. მიგვითითეს, რომ ფარული კენჭისყრელ სიაში შეგვეტანა ყველა ვისაც პრეტენზია ჰქონდა ზემოაღნიშნულ თანამდებობის დაკავების თაობაზე. ასევე მკაცრად გაგვაფრთხილეს იმაზედაც, თუ ვის უნდა მიეღო მონაწილეობა არჩევნებში და რა რაოდენობით. მინისტრთა კაბინეტში მიღებული კონსულტაციის შესაბამისად, მათთან შეთანხმებით ა.წ. 24 თებერვალს ჩავატარეთ ხელმეორე არჩევნები. ფარულ კენჭისაყრელ საარჩევნო ბიულეტენებში შევიტანეთ სამი კანდიდატურა ( ლ.ჯლარკავა, გ. კიტოვანი და მ.გაბუნია).

ხმის დამთვლელი კომისიის ცნობით დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 120 ამომრჩეველი, რომელთა შორის 109-მ ლ.ჯლარკავას კანდიდატურას დაუჭირა მხარი. არჩევნების მასალები დამატებით წარუდგინეთ მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად. მინისტრთა კაბინეტთან შექმნილ სამთავრობო კომისიამ და სპეციალურად გამოყოფილ საკონსულტაციო საბჭომ ცალ-ცალკე განიხილეს ჩვენ რაიონში წარმომადგენლობითი კრების მიერ ჩატარებული ზემოხსენებული არჩევნების შედეგები და მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ ხალხის მიერ ორჯერ არჩეული ლ.შ. ჯლარკავა დაემტკიცებინათ მარტვილის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. საქ.რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 29 თებერვლის № 249 დადგენილებით მარტვილის რაიონში გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დამტკიცდა ლ.შ.ჯლარკავა. ალბათ ძნელი დასაჯერებელია (მაგრამ ფაქტს ვერავინ გაექცევა), რაც მარტვილში მოხდა. ლ.შ.ჯლარკავა ადგილზე რომ ჩავიდა სათანადო საბუთებით (გარდა ამისა საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ ხალხს ამცნო მარტვილის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ლ.შ.ჯლარკავას დამტკიცების თაობაზე), მას გამგებლის კაბინეტში დახვდა ე.წ. თვითმარქვია გამგებელი გ. კიტოვანი და მოადგილის ოთახში რ. ბირკაია (კაცი რომელსაც დღემდე შრომის წიგნაკი არა აქვს), რომლებმაც ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერ მოთხოვნაზე, გამოსულიყვნენ თვითნებურად, უკანონოდ დაკავებულ კაბინეტებიდან, სასტიკი უარი განაცხადეს. იმის გამო, რომ რაიონის პროკურორმა და მილიციის უფროსმა ვერ შეძლო თვითმარქვია გამგებლისა და მისი მოადგილის კაბინეტებიდან გამოყვანა, ხალხის მიერ არჩეული და მთავრობის მიერ დამტკიცებული გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლ.ჯლარკავა სხვა შენობაში შევიდა და დაიწყო რაიონის მართვა. ა.წ. 7 მარტს ლ.ჯლარკავა გამოიძახეს მინისტრთა კაბინეტში თათბირზე, მისცეს მუდმივი საშვი, თითქოსდა საეჭვო არაფერი არ იყო, მაგრამ ა.წ. 10 მარტს, მარტვილის რაიონის მშრომელებს გ.კიტოვანმა თავი წარუდგინა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გ.კიტოვანს ხელზე ჰქონდა 1992 წლის 9 მარტის თარიღით, ყოფილი სამხედრო საბჭოს მიერ გაცემული განკარგულება, მარტვილის რაიონში გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გ.კიტოვანის დანიშვნის თაობაზე. უკვე „კანონიერ“ გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მოადგილედ აირჩია ზემოხსენებული რ.ბირკაია, რომელსაც 20 დღით ადრე ჰქონდა მოადგილის კაბინეტი დაკავებული. ამ ძალადობის, თვითნებობისა და აშკარა უკანონობის ფაქტს, მარტვილელი მშრომელები გულისწყრომით შეხვდნენ. შეიქმნა 10 კაციანი ჯგუფი, რომელიც გაიგზავნა რესპუბლიკის მთავრობაში იმის გასარკვევად, თუ რა ედო საფუძვლად ხალხის მიერ რჩეულ და მთავრობის მიერ დამტკიცებულ ლ.ჯლარკავას დაუსწრებლად განთავისუფლებას და უკანონოდ გ.კიტოვანის დანიშვნას.

მინისტრთა კაბინეტთან არსებულ სამთავრობო კომისიამ უკანონოდ ჩათვალა ყოფილი სამხედრო საბჭოს ა.წ. 9 მარტის № 07 150 განკარგულება და მარტვილელ ხალხს შეუთვალა ა.წ. 14 მარტს დღის 2 საათზე ადგილზე ჩამოვიდოდნენ საკითხის მოსაგვარებლად. აღნიშნულ დღეს მარტვილის რაიცენტრში შეიკრიბა დიდძალი ხალხი, რომლებიც დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე ელოდნენ მთავრობის წარმომადგენლებს. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა კოლექტიური დეპეშაც, მაგრამ თბილისიდან არავინ არ ჩამოვიდა. ხალხი განაწყენდა, რის გამოც მიიღეს გადაწყვეტილება,ხალხის რჩეული ლ.ჯლარკავა სახლიდან მოეყვანათ და შესაფერის კაბინეტში შეეყვანათ. თუმცა ხალხმა მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, მაგრამ მეორე დღიდან მარტვილის რაიონში „ბეტეერები“ და კბილებამდე შეიარაღებული გვარდიელები გამოჩნდნენ, რომლებიც შეკრებილ ხალხს დახვრეტის მუქარით შლიდა. გვარდიელები ქალებსა და ყველა იმას, ვინც სამართლიანად გმობდა უკანონოდ, ძალით მოვლინებულ ე.წ. რაიონის ხელმძღვანელებს, უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ და აბუჩად იგდებდნენ. გ.კიტოვანს და რ.ბირკაიას, ხალხმა რომ არ გამოაგდოს, დღესაც გვარდიელები იცავენ, რადგანაც ხალხს შეიარაღებულ გვარდიელებთან არაფერი გაუვიდა, ისევ რამოდენიმე კაციანი ჯგუფი შექმნეს და მიავლინეს მთავრობაში საქმის გასარკვევად, რომელთა შორის ერთერთმა თვით სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ე.შევარდნაძესაც მოახსენა მარტვილში მომხდარ ძალადობაზე. სამთავრობო კომისიამ ა.წ. 17 მარტს უკვე მეორედ განიხილა მარტვილის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, ყოფილი სამხედრო საბჭოს ა.წ. 9 მარტის № 07 150 განკარგულების გაუქმებისა და მინისტრთა კაბინეტის ა.წ. 29 თებერვლის № 249 დადგენილების აღდგენის თაობაზე. თითქოსდა სამართალმა პური ჭამა, მაგრამ მარტვილელ საქმოსანთა ძალამ ისევ იჩინა თავი. რაიონიდან მთავრობაში სპეციალურად, ხალხის დავალებით ჩამოსული პირები მთავრობის სახლის წინ. ავტომატებით შეიარაღებულ გვარდიელებმა დააკავეს და კომენდატურაში წაიყვანეს, სადაც რამოდენიმე საათი ჰყავდათ დაკავებული. ბოლოს საბუთები ჩამოართვეს და გაუშვეს უპასუხოდ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი სამთავრობო კომისიის დადგენილება ხალხის რჩეულ ლ.ჯლარკავას, მარტვილის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დამტკიცების თაობაზე, საკითხი შეგნებულად ჭიანურდება.

პატ. რედაქცია გთხოვთ ეს წერილი რაც შეიძლება ჩქარა, უახლოეს ნომერში დაგვიბეჭდოთ, რათა დროულად გაიგოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე — ე.შევარდნაძემ და საბჭოს სხვა წევრებმა თუ როგორ ილახება მარტვილელი ხალხის კანონიერი უფლებები, ზოგიერთი თანამდებობის პირის აშკარა თვითნებობითა და ძალადობით.

მარტვილელ მშრომელთა სახელით,

სულ 26 ხელმოწერა.

# სჯობს ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის, ვიდრე ერი — ერთი კაცისათვის

(იოანე 11,50)

## თეიმურაზ ფანჯიკიძე

ეს სიტყვები სახარებიდან არის აღებული და იგი მღვდელმთავარ კაიაფას ეკუთვნის, რომელმაც, თავის დროზე, იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯა მოითხოვა. არავინ არ ამართლებს კაიაფას, არავინ არ იცავს არც მის პიროვნებას და არც მის ზნეობრივ სახეს, მაგრამ ეს სიტყვები აქტუალური იყო ადრე და ახლაც, იგი აქტუალური იქნება ყველა დროში, როდესაც მთელი ერისა და პიროვნების ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება. ამ სიტყვებმა ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდი რისხვა გამოიწვია...

ეს რისხვა მთლიანად გადმოიღვარა მისი „წერილებისა და ესეების" წიგნში, რომელიც 1991 წელს დაისტამბა. მისი წერილი სათაურით „თ.ფანჯიკიძის ტრაგედია" წარმოადგენს გამოხმაურებას ჩემი ჯერ კიდევ 1985 წლის 20 ნოემბრის გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებული წერილისა „იესო ქრისტეს ტრაგედია". როგორც ჩანს, ეს გამოხმაურება ჩემი წერილის გამოქვეყნებისთანავეა დაწერილი. მაშინვე ვერ დაუბეჭდავს, მაგრამ ეს წერილი ისე მოსწონებია, თავისი შემოქმედების ისეთ მნიშვნელოვან ფურცლად ჩაუთვლია, რომ იგი ვერ დაუთმია და ექვსი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ კრებულში შეუტანია.

მაინც რას გვიჩივა, რას გვაბრალებს ბატონი ზ. გამსახურდია. განა რა დავაშავეთ ასეთი, რატომ გვლანძღავს ასე შეუბრალებლად? სანამ უშუალოდ ამ კითხვებზე ვუპასუხებდე, მანამდე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რატომ დაიწერა თავის დროზე ეს წერილი.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა კონფლიქტი ხალხსა და მის გაუცხოებულ, დაწინაურებულ შვილს შორის. შვილს, რომელსაც თავისი ქვეყნის საზღვრები ეპატარავება, უფრო ფართო სარბიელზე გასვლას ლამობს და თავისი კარიერისტული ამბიციების დასაკმაყოფილებლად არაფერს ერიდება, სამშობლოს სასტარტო მოედნად იყენებს, საჭიროების შემთხვევაში საკუთარ ხალხს უპირისპირდება და მის ინტერესებს ულვთოთ სწირავს.

საქართველოს ისტორიაში ცოტა როდი იყო ასეთი პიროვნება. ამ მხრივ მარტო სტალინის, ორჯონიკიძის, ბერიას თუ სხვათა სახელები იკმარებდა. სტატიის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, მეჩვენებინა, რომ ადამიანი, რომელიც არ ითვალისწინებს თავისი ხალხის ბედს, ინტერესებს, მის მომავალს, რაც არ უნდა ძლიერი, მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწე არ უნდა იყოს იგი, თავისი ხალხის თვალში მაინც მავნე და დაღუპული კაცია, ამდენად სრულიად მიუღებელიც.

კონფლიქტი ხალხსა და მისგან გამოსულ შვილს შორის საქართველოს ისტორიაში მარტო წარსულში როდი შეინიშნებოდა. მას ჩვენს პირობებშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. ამიტომ ასეთი წერილის გამოქვეყნება საჭიროდ და აქტუალურად ჩავთვალე.

მთელი სახარებისეული სიუჟეტი, მასში მომქმედი ძალები: ებრაელები, მათი მღვდელმთავრები ანა და კაიაფა, პილატე, რომაელი ჯალათები, თვით იესო, მისი ტრაგიკული ისტორიით, მე მხოლოდ ისტორიული პარალელის გავლებისათვის დამჭირდა, რომლის იქით გონიერ და გამგებ მკითხველს, რომელიც იმ რთულ პერიოდში მიჩვეული იყო სტრიქონებს შორის წაეკითხა დამალული აზრი, თანამედროვეობა უნდა დაენახა.

რასაკვირველია, ისტორიული პარალელები ყოველთვის მოიკოჭლებს, არც ჩემს მიერ მოხმობილი პარალელი გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით, სახარებისეულ სიუჟეტში სულ სხვაგვარ პირობებსა და ღირებულებებზეა ლაპარაკი, ბევრი განსხვავებული ასპექტი და ნიუანსია, მაგრამ ემთხვევა ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი — კონფლიქტი ხალხსა და მისგან გამოსულ შვილს შორის, რომელიც ჯერ შვილის სიკვდილით დამთავრდა, შემდგომ კი ხალხის დაწყევლით და მრავალსაუკუნოვანი დევნით.

მე ჩემებურად შევეცადე გავრკვეულიყავი ამ კონფლიქტში, გამერკვია რატომ არ მიიღო ხალხმა თავისი დაწინაურებული შვილი, რომელიც სხვებისათვის საყოველთაო თაყვანისცემის საგანი შეიქმნა და **თუკი ებრაელებმა არ აპატიეს იესო ქრისტეს საკუთარი ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლობა, როგორღა უნდა მოვიქცეთ დღეს ჩვენ, როდესაც მსგავს სიტუაციაში მოვხვდებით.**

**მე მშვენივრად მესმის, რომ ასეთი პარალელის გავლებით, მსჯელობით და თუნდაც გაფიქრებით, ფანატიკოსი მორწმუნის** აზრით საოცარ, უპატიებელ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ ბატონი პრეზიდენტი ხომ მარტო თავგადადებული მორწმუნე არ არის, არამედ კარგი მეცნიერის პრეტენზიაც აქვს. ამიტომ, იგი არ უნდა აღეშფოთებინა სახარებისეული სიუჟეტის ასეთ გამოყენებას, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ მიდგომაში მე არც პირველი ვარ და ცხადია, არც უკანასკნელი ვიქნები.

გარდა ამისა, ბატონ ზ.გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებული წერილი უბრალო, აღშფოთებული მორწმუნის აზრი რომ იყოს, რომელიც შეურაცხყოფილი იქნა თავის საუკეთესო, რელიგიურ გრძნობებში, გასაგები იქნებოდა, მაგრამ როდესაც ასეთ კატეგორიულ სალანძღავ წერილს განსხვავებული აზრის გამო აქვეყნებს ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის თითოეული სიტყვა, განუსაზღვრელი უფლებების გამო, თითქმის კანონად ითვლება და რომელსაც თავის ქვეყანაში სინდისის თავისუფლება აქვს გამოცხადებული, ეს სრულიად გაუგებარია. შეიძლება ვინმე შემედავოს და თქვას, რომ ეს წერილი ალბათ ადრეა დაწერილი — მართალიც იქნება, მაგრამ იგი ხომ მისი თანხმობით გამოქვეყნდა პრეზიდენტობის დროს, როდესაც წერილმა სულ სხვა ჟღერადობა და მნიშვნელობა შეიძინა.

მაგრამ დავუშვათ, რომ მე ის ზემოთ თქმული პარალელი არ გამომივიდა, მკითხველისათვის და თვით ბატონ ზ.გამსახურდიასათვისაც სრულიად გაუგებარი შეიქმნა ჩემი ჩანაფიქრი. ამის გარდა, სხვა რა ფაქტობრივი შეცდომა დავუშვი, რაში მედება კონკრეტულად ბრალი, ეგებ შეცდომები დავუშვი სახარებისეული სიუჟეტის ინტერპრეტაციაში? ეგებ სწორად ვერ გადმოვეცი მომხდარი კონფლიქტის არსი? მოკლედ, რას გვიჩივის ბატონი ზ.გამსახურდია?

როგორც უკვე ვთქვი, სამწუხაროდ ბატონ ზ.გამსახურდიას წერილში უფრო მეტად ჭარბობს აღშფოთებული მორწმუნის ემოციები, ვიდრე მეცნიერული არგუმენტები, მაგრამ მაინც შევეცადოთ თანმიმდევრობით გავერკვეთ მის მიერ წამოყენებული ბრალდებების სისწორეში.

ბატონ ზ.გამსახურდიას აზრით, მე თვითონ ვერ გამირკვევია, თუ რა პოზიციაზე ვდგავარ: „... ქრისტიანულზე, იუდაისტურზე, ათეისტურზე, მუსულმანურზე, კომუნისტურზე თუ სხვ.". თუმცა სულ ცოტა ქვემოთ წერს, რომ „ავტორი თავისდაუნებლიედ გვესაუბრება როგორც პირწავარდნილი თალმუდისტიო". ე.ი. მე, თუმცა ჩემს უნებლიედ, მაგრამ მაინც რაღაც პოზიცია მქონია და ეს ყოფილა „თალმუდისტის პოზიცია".

მკითხველი რომ არ დაიბნეს, გავარკვიოთ, რას ნიშნავს თალმუდისტური პოზიცია. ეს არის ბიბლიის იუდაური კაზუისტიკური ახსნა. ძალზე უხეშად და გასაგებად რომ ვთქვათ, ებრაულ პოზიციაზე დგომა. რადგან ებრაელი მორწმუნე, თავის ნათქვამში რომ დაგარწმუნოს, პირველ რიგში თორასა და თალმუდს იმოწმებს.

ჩემს წერილში იმ ფაქტს აღვნიშნავ, რომ იესო ებრაელთა წრიდან გამოსული ადამიანი იყო, რომ მისი დედა ჩვეულებრივი ებრაელი ქალი იყო, ხოლო მოციქულთა უმრავლესობა ასევე ჩვეულებრივი ებრაელები იყვნენ. მე დიდ დანაშაულად და თალმუდისტობად ჩამეთვალა.

**მინდა დავამშვიდო ბატონი ზ.გამსახურდია და ვუთხრა, რომ მე ჩემს პოზიციაზე ვდგავარ. იმ პოზიციაზე, სადამდისაც მიმიყვანა ისტორიულმა წყაროებმა, ქრისტიანულმა თუ საერო ლიტერატურამ, „საღმრთო წერილმა" და საკუთარმა დაკვირვებებმა.**

ეს პოზიცია არცთუ ისე ახალი და ორიგინალურია. ის რომ იესო ქრისტე რეალური ისტორიული პიროვნება იყო, იზიარებს რელიგიის უამრავი მკვლევარი. ასეთ აზრს, როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნეში ავითარებდა ახალი ტიუბინგენის სკოლა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფ.კ.ბაური, შვეგლერი, კესტლინი, გილგენფელდი, ცელერი, პლანკი, ფოლკმარი. ამავე სკოლას ეკუთვნოდა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში დ.შტრაუსიც, ავტორი გახმაურებული წიგნისა „იესოს ცხოვრება". როგორც ცნობილია, ტიუბინგენის სკოლის ტრადიციები შემდგომ გადაეცა ისტორიულ სკოლას, რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ვერნლე, ი.ველჰაუზენი, ა.ჰარნაკი, მისი მიმდევრები ა. ლუაზი, მ. გოგელი და სხვ. ასეთივე აზრს ავითარებდა ქრისტიანობის ცნობილი მკვლევარი ე.რენანიც, რომლის წიგნიც იესო ქრისტეზე ხუთასზე მეტჯერ გამოიცა. რასაკვირველია, შეიძლება დაეთანხმო ან უარყო ეს პოზიცია. მაგრამ, ეს შეხედულება ისე საოცრად არ უნდა გაგიკვირდეს და აღშფოთდე, როგორც ამას ბატონი ზ.გამსახურდია აკეთებს.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ მის შენიშვნებზე, რომელსაც იგი უხეშ შეცდომებს უწოდებს:

ბატონ ზ.გამსახურდიას მოაქვს ჩემი სიტყვები: „იუდეველებმა ყური არ უგდეს ახალი აღთქმის მოწოდებებს, მათ არ ცნეს ქრისტეს მოვლინება". ჰო, მაგრამ რომელმა იუდეველებმა? იგი (ჩემზეა ლაპარაკი-თ.ფ.) რომ ოდნავ მაინც იყოს ჩახედული პალესტინის ისტორიაში ან ახალ აღთქმაში, ეცოდინებოდა, რომ ათასობით ებრაელმა მიიღო ქრისტიანობა, მოციქულთა მოღვაწეობის პირველსავე წლებში (იხ. „საქმე მოციქულთა") ამიტომაც ამბობდა პასკალი: „ქრისტეს მოძღვრებას ებრაელთა შორის ღებულობდნენ წმინდა ადამიანები, ამქვეყნიურნი, გრძნობადნი კი — არა". საქმეც ის გახლავთ, რომ ებრაელი ხალხი კი არ იყო ქრისტეს წინააღმდეგი, არამედ მღვდელმთავრები და ფარისეველნი, რომელთაც იუდასთან ერთად ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდეს თავიანთი ერის სინდისი".

რა შეიძლება ითქვას ამ ბრალდებაზე: ჯერ ერთი, ზ.გამსახურდია განგებ ამახინჯებს ჩემს აზრს და მეორეც, ციტატა დამახინჯებულად მოაქვს. მე არსად არ ვამბობ, რომ ებრაელთა გარკვეული რაოდენობა არ გაჰყვა ქრისტიანობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამისათვის განა მისი მოწაფეების მაგალითი არ კმაროდა?! მაგრამ ვინ გაჰყვა იესო ქრისტეს, ესეც ხომ კარგად არის ცნობილი. აი, ქრისტიანობის ცნობილი მკვლევარის ე.რენანის სიტყვები ამის შესახებ:

"Правоверные евреи редко вступали в новую секту: люди пришлые, мало знавшие закон, не посещавщие больших иудейских школ, свободные от рутины и не знакомые с священным языком, - вот кто внимал апостолам и их ученикам"[1].

ახლა კი სრულად მინდა მოვიტანო ჩემს წერილში გადმოცემული აზრი: „**საბოლოო ჯამში** კი იუდეველებმა ყური არ უგდეს ახალი აღთქმის მოწოდებებს. მათ არც პავლე მოციქულის ეპისტოლეს დაუჯერეს, სადაც იგი ებრაელებს აღუთქვამდა, რომ ღმერთი ისევ გაიხსენებდა მათ, ისევ დადებდა კავშირს ისრაელთან და იუდას სახლთან (ებრაელთა მიმართ 8,8).

ისინი ერთგულნი დარჩნენ თავიანთი ძველი მოძღვრებისა და უარი თქვეს ყოველგვარ სიახლესა და დამატებაზე. მათ არ ცნეს ქრისტეს მოვლინება. იუდეველთა რელიგიამ კედელივით აისხლიტა ახალი მოძღვრება.

თავის მხრივ, არც იესო ქრისტეს მოწაფეებმა და მიმდევრებმა აპატიეს ებრაელებს ქრისტეს ჯვარცმა. საუკუნეთა მანძილზე სდევნიდნენ და სჯიდნენ მათ, როგორც მაცხოვრის სიკვდილში გარეულ ერს. ებრაელებს დასცინოდნენ, აწიოკებდნენ, ქვეყნიდან აძევებდნენ..."

აი, სრული ციტატა, განსხვავებით ბატონ ზ.გამსახურდიას მიერ განგებ დამახინჯებული ციტატისაგან, აქ არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ ქრისტეს მოძღვრება ებრაელებისაგან არავის მიუღიაო. აქ ლაპარაკია ერის **საბოლოო არჩევანზე, რა გზა აირჩია მან და რა რელიგიით იცხოვრა საუკუნეთა მანძილზე.** შემთხვევით როდი იწყება გამოთქმული შეხედულება ხაზგასმული სიტყვებით — **საბოლოო ჯამში...** თუ რისთვის დასჭირდა ბატონ ზ.გამსახურდიას ჩემი აზრის ასე დამახინჯება და ბრალის დადება, მისი სინდისისათვის მიგვინდია.

„ახლა ვნახოთ, — წერს ბატონი ზ.გამსახურდია, — კიდევ რომელ პუნქტებში ემთხვევა ფანჯიკიძის თვალსაზრისი ქრისტეს ჯვარმცმელ ფარისეველთა და მღვდელმთავართა თვალსაზრისს. იგი წერს: „ებრაელებმა, რომელნიც მისგან ღვთაებრიობის საბუთს მოითხოვდნენ, ასეთი საბუთი ვერ მიიღეს. ამიტომ მესიად არ ცნეს არც მაშინ და არც მერე, როდესაც ქრისტეს მოძღვრება მრავალმა მილიონმა ადამიანმა აღიარა და იგი მსოფლიო რელიგიად იქცა". ე.ი. ავტორი გვეუბნება, რა ექნათ, იმ კეთილშობილ და მართალ იუდეველებს, ისინი ღვთაებრიობის საბუთს, ე.ი. სასწაულებს მოელოდნენ ქრისტესაგან, მაგრამ ასეთი რამ ვერ მიიღეს და ამადაც ჯვარს აცვეს იგი".

ამ დებულების სიცრუეს თავად ავტორმა (ჩვენ — თ.ფ.) ახადა ფარდა რამდენიმე აბზაცით ქვემოთ, როდესაც მოიტანა ციტატა იოანეს სახარებიდან: „შეიკრიბნენ ებრაელთა მღვდელმთავარნი და ფარისეველნი და ერთმანეთს შესჩივლეს: „რა ვქნათ, რა ვუყოთ, ეს კაცი მრავალ სასწაულს ჩადის, თუ ასე დავტოვეთ, ყველას თავის რწმენაზე მოაქცევსო".

ასე რომ, იუდეველებსაც და თ.ფანჯიკიძესაც კარგად სცოდნიათ, რომ იესო ქრისტე მრავალ სასწაულს სჩადიოდა. მაგრამ რაღაც მიზეზით დაუხუჭავთ ორთავეს თვალი".

მართლა სამართალი აღარსად არის? ასე ურცხვად ბრალის დადება როგორ შეიძლება. შეიძლება ასე დაამახინჯო სხვისი აზრი, როგორც არ უნდა გეჯავრებოდეს ადამიანი, როგორც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შენს წარმოდგენებს და რწმენას?

ჯერ ერთი, ასეთ მტკიცებას წერილში წინ უძღოდა მესიის როლის ებრაული გაგება. „ებრაელები, — წერია ჩემს წერილში, — დიდხანს ელოდნენ მესიას, ზეციდან მოვლინებულ არსებას, რომელიც მათ იხსნიდა გაჭირვებისაგან, დაამარცხებდა მათს მტრებს.

მესიის სახე ასეული წლების მანძილზე იხატებოდა, ივსებოდა და ყალიბდებოდა. ხალხის წარმოდგენით იგი უნდა ყოფილიყო სახელოვანი, ძლევამოსილი, ყოვლის დამთრგუნველი და ღმერთის რჩეული ხალხის — ებრაელების განმათავისუფლებელი. ეს იყო ხანგრძლივი და მოუთმენელი მოლოდინი ჩაგრული ხალხისა, რომელიც დამპყრობლების უღელქვეშ მრავალი საუკუნის მანძილზე იტანჯებოდა.

მაგრამ მას, ვინც ებრაელებს მესიის სახელით გამოეცხადა და ვინც თავის თავს ძე ღვთისა უწოდა, საერთო არაფერი ჰქონდა ნანატრი მესიის სახესთან. ახლად მოვლენილი მესია ღარიბი დურგლის შვილი იყო, არაფრისმქონე, უიარაღო და უბრალო ტანსაცმელში გამოხვეული, დასაძინებლად თავის მისადები ადგილიც რომ არსად მოეძევებოდა. ქადაგების დაწყების შემდეგ იგი თვითონ იქცა დევნისა და სიძულვილის ობიექტად, ბოლოს კი გოლგოთაზე აიყვანეს. ასეთ მესიას როდი ელოდნენ იუდეველები, მეტიც, მათ არ სჭირდებოდათ ასეთი მესია. ეს იყო მათი დიდი ხნის ოცნებისა და ეროვნული იმედების დამსხვრევა.

ებრაელებმა მას ვერ აპატიეს თავისი მოლოდინის გაცრუება.

იმ მძიმე და არეულ დროში, ისეთ ბუნაგში, როგორიც რომის იმპერია იყო, ებრაელთა გადარჩენა სასწაულს თუ შეეძლო. ამიტომ მოვლენილი მესიისგანაც ასეთ სასწაულს მოითხოვდნენ.

ამიტომ სრულიადაც არ იყო გასაკვირი ერთ-ერთი იუდეველის სინანული იესოს ჯვარცმის შემდეგ — ჩვენ კი გვეგონა, რომ ეს იყო ის, ვისაც ისრაელი უნდა ეხსნაო (ლუკა,24,21). უფრო ადრე კი, ჯვარცმამდე, უკვე შეპყრობილ იესო ქრისტეს ხალხი დასცინოდა: თუკი შენ მართლა ქრისტე და ღვთის რჩეული ხარ, იხსენი შენი თავი (ლუკა 23,35) და მაშინ ვირწმუნებთ, რომ სწორედ ისა ხარ, ვისაც შენს თავს უწოდებო".

მოყვანილი ტექსტიდან თვალნათლივ ხომ ჩანს, რა სასწაულზეა ლაპარაკი: აქ არ იგულისხმება არც მიცვალებულის გაცოცხლება, არც უსინათლოსათვის თვალის ახელა, არც კოჭლისათვის ფეხის მორჩენა. არამედ ებრაელი ხალხის ხსნა, ამიტომ უაზრობაა რაიმე წინააღმდეგობა აღმოაჩინო ჩემს მსჯელობაში. გარდა ამისა, ზ.გამსახურდია უკვე მერამდენედ შეგნებულად წყვეტს ჩემს ციტატას, იღებს იმ ნაწილს, რომელიც მეორის გარეშე ერთიან აზრს ამახინჯებს. ამიტომ ისევ ჩემი ტექსტიდან მოვიტან ადგილს:

„სახარებების მიხედვით იესო ქრისტეს სხვა მისია ეკისრებოდა. იგი სასწაულს კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვაში ხედავდა, განგების მიხედვით გოლგოთაზე მოკვდა კიდეც ორ ავაზაკთან ერთად (განა აქ ნათელი არ არის რა სასწაულზეა ლაპარაკი...).

ამიტომ, ებრაელები, რომლებიც მის დანიშნულებას ქვეყნის გადარჩენაში ხედავდნენ, იესოს ამ საქციელში ღვთაებრიობის ნიშანს კი არა, არამედ მის ადამიანურ უმწეობას ხედავდნენ. მათი წარმოდგენით ძლევამოსილ მესიას თავისი თავი უნდა დაეცვა და არ მიეცა მტრისათვის მისი დასჯის საშუალება. კიდევ ვიმეორებ, მესიის სხვადასხვაგვარი გაგება განაპირობებდა იესოსადმი ასეთ მიდგომას. ამიტომ სრულიად გაუგებარია, რაში მდებს ბრალს ბატონი ზ.გამსახურდია.

თავისი წიგნის 520-ე გვერდზე ზ.გამსახურდია წერს: „გარდა ამისა მან (ჩემზეა ლაპარაკი — თ.ფ.) უნდა იცოდეს, რომ თალმუდში ნახსენები იეშუა არ არის ქრისტე, არამედ იეშუა ბენ პანდირა, ესეველთა მოძღვარი, რომელიც ქრისტეზე ერთი საუკუნით ადრე ცხოვრობდა".

აქაც ბატონი ზ.გამსახურდია უწყალოდ ამახინჯებს სინამდვილეს. მე არსად არ ვწერ იეშუას, არამედ ვახსენებ „ქრისტეს, რომელსაც თალმუდი ძლიერ და ჭკვიან პიროვნებად აღიარებს, თუმცა მან თავისი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა და ამიტომ დაისაჯაო". მეტი ამის შესახებ ჩემს წერილში არ წერია. ბატონ ზ.გამსახურდიას რომ კარგად სცოდნოდა თალმუდში ქრისტესა და ქრისტიანობაზე არსებული ტექსტები, ამას საერთოდ არ დაწერდა. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ ნაგულისხმევი ადგილი თალმუდიდან:

**"Однажды он (Иошуа бен Перахая) стал читать утреннюю молитву, встретился ему (Иисус); он думал принять его, поманил его рукой. Тот подумал, что он его отталкивает. (Тогда) он пошел, установил черепицу и стал поклоняться ей. Сказал ему (Иошуа бен**

---

[1] Эрнест Ренан. История первых веков христианства. Апостолы М. 1991 стр. 454

пер.) "Вернись". Он сказал: "Так я принял от тебя: кто согрешил и соблазнил народ, тому не предоставляют возможность покаятся". А учитель сказал: " Иисус назарянин занимался чародейством и свел Израиля с пути".[2]

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია იოშუა ბენ პერახაიაზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა, (და არა ბენ პანდირაზე) და იესო ნაზარეველზე. როგორც თვით ამ პირველწყაროების გამომქვეყნებელმა ა.ბ.რანოვიჩმა აღნიშნა:

"Только незнакомство с подлинными текстами могло внушить Древсу и другим представление об историчности Иисуса бен Пандира, или Иисуса бен Стады, о которых в Талмуде имеются явные несообразности".[3]

ასეთია სიმართლე ამ საკითხის შესახებ.

ბატონი ზ. გამსახურდია წერს: „თ. ფანჯიკიძე ქრისტეს სახავს ძონძებში გახვეულ მაწანწალად. საინტერესოა, რომელ წყაროში ამოიკითხა მან ასეთი რამ, ან რომელ ფერწერულ ტილოზე ნახა ამგვარი გამოსახულება ქრისტესი".

ჯერ ერთი, ჩემს ბროშურაში „იესო ქრისტე — ლეგენდა თუ სინამდვილე", რომელიც ჯერ კიდევ 1987 წელს გამოვიდა, წერია: „ახლად მოვლენილი მესია ღარიბი დურგლის შვილი იყო, არაფრისმქონე უიარაღო და უბრალო ტანსაცმელში გამოხვეული..." (იხ. გვ. 59). რაც შეეხება ძონძებს, რომელიც გაზეთში იყო ნახსენები, იგულისხმება ის დაგლეჯილი ტანსაცმელი, რითაც იგი გოლგოთაზე მიჰყავდათ.

ბატონი ზ.გამსახურდია მე მაბრალებს თითქოს არაფერი ვიცოდე, ან ვჩქმალავდე თანამედროვე მეცნიერულ კვლევა-ძიებას ქრისტეს პრობლემასთან, მის სხვადასხვა რელიქვიებთან, უწინარეს ყოვლისა, ტურინის სუდარასთან, ეს სხვა არაფერია, თუ არა აშკარა ცილისწამება, რადგან მე ტურინის სუდარასთან დაკავშირებით 1987 წელს გამოვაქვეყნე ცალკე წერილი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" სათაურით „ლეგენდა თუ სინამდვილე, ანუ ცოტა რამ ტურინის სუდარის შესახებ" (იხ.გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1987 წლის 1-2). აღნიშნული ტექსტი შემდგომში შევიდა ჩემს ბროშურაში „იესო ქრისტე — ლეგენდა თუ სინამდვილე" (იხ.გვ.64-66), რომელიც როგორც აღვნიშნე, 1987 წელს არის გამოქვეყნებული, ხოლო ბატონ ზ. გამსახურდიას წიგნი 1991 წლით თარიღდება. რა ვუწოდო ასეთ ბრალდებას — უპასუხისმგებლობა თუ უდიერობა, აშკარა ცილისწამება, თუ მეცნიერული არაკეთილსინდისიერება, მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

გარდა ამისა, ბატონი ზ.გამსახურდია აშკარად ამახინჯებს ფაქტებს, როდესაც ამტკიცებს, თითქოს ტურინის სუდარამ ისეთი ჟურნალიც კი, როგორიც „ნაუკა ი რელიგიაა", აიძულა ემტკიცებინა იესო ქრისტეს ღვთაებრიობა.

ჟურნალის 1984 წლის № 9-ში არუთინოვის და ჟუკოვსკაიას მიერ გამოქვეყნებული მასალა რედაქციის განმარტებით (იხ. „ნაუკა ი რელიგია", 1989წ. №6 გვ.11) წარმოადგენდა ტურინის სუდარის შესახებ საზღვარგარეთ გამოქვეყნებული მასალების უფრო მიმოხილვას, ვიდრე საკუთარ აზრს.

მაგრამ, ამ ამბავთან დაკავშირებით, უფრო მნიშვნელოვანია იგივე ჟურნალის ცნობა იმის შესახებ, რომ როგორც ჩატარებული რადიაქტიული ანალიზით დამტკიცდა ტურინის სუდარა არ წარმოადგენს ნამდვილს, რადგან ის ქსოვილი, რომელშიაც თითქოსდა იესო ქრისტეს სხეული იყო გახვეული მხოლოდ XIII-XIV საუკუნეში არის დამზადებული და რომ ამ დასკვნას დაეთანხმა თვით ტურინის არქიეპისკოპოსი.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ ტურინის სუდარის ქსოვილი მხოლოდ XIV საუკუნეში არის დამზადებული ჯერ კიდევ რადიაქტიულ ანალიზამდე გამოთქვა ამერიკელმა ექსპერტმა უოლტერ მაკკროუნიმ, რომელმაც, თავის მხრივ, აკადემიკოს ვ. გოლდენსკის თქმით მხოლოდ დაადასტურა ის, რაც პირველად განაცხადა ტრუას ეპისკოპოსმა ამ სენსაციური აღმოჩენისთანავე, რომ ტურინის სუდარა დახატულია უცნობი მხატვრის მიერ 1356 წელს. (იხ.„ნაუკა ი რელიგია", 1989წ. №6, გვ 11-14).

მართალია ტურინის სუდარასთან დაკავშირებული ბევრი სხვა ამბავი ჯერ კიდევ აუხსნელია, არსებობს ბევრი სხვადასხვაგვარი მოსაზრება და ვარაუდი, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვა მეცნიერული გამოკვლევა არ არსებობს. მით უფრო გასაკვირია ბატონ ზ.გამსახურდიას სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები ჩემს მიმართ.

ასევე სრულიად უსაფუძვლოდ „წერილებისა და ესეების" 519-ე გვერდზე ზ.გამსახურდია გვაბრალებს თითქოს მე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს ვამტკიცებდე: მას მოაქვს ჩემი ციტატა: „იგი (იესო ქრისტე) უფრო იუდაური სარწმუნოების რეფორმატორი იყო და უნდოდა გაეწმინდა გაენთავისუფლებინა ღმერთის მიერ ნაბოძები კანონი შემდეგდროინდელი ადამიანების მიერ დამატებული ზედმეტობებისაგან". ამ დებულებას იგი ეთანხმება და წერს, რომ „ეს სავსებით მართებული მსჯელობააო". მაგრამ არ ეთანხმება მეორე ციტატას: „მოსეს კანონი სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც ამ კანონის წინააღმდეგ ილაშქრებდა, იუდეველებმა კი სამართლიანად და გულახდილად უთხრეს პილატეს ამის შესახებ: „ჩვენ გვაქვს კანონი და ამ კანონის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს". ზ.გამსახურდია ამ ორ ციტატას შორის წინააღმდეგობას ხედავს და კითხულობს რომელ ფანჯიკიძეს ვენდოთო:

„...ქრისტე არ ებრძოდა მოსეს კანონს, უარს არ ამბობდა მასზე, თუ იმას, რომელიც გვიმტკიცებს, ქრისტე ილაშქრებდა მოსეს კანონის წინააღმდეგ და სავსებით მართალნი იყვნენ იუდეველნი რახან იგი დასაჯესო".

ჯერ ერთი, ამ მსჯელობაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის. იესო ქრისტე მართალია არ ილაშქრებდა მოსეს კანონის არსის წინააღმდეგ, მაგრამ ებრძოდა მისი ცალკეული დოგმების იუდაურ გაგებას. გავიხსენოთ თუნდაც იესოს მიერ შაბათის დღესასწაულის მხოლოდ ლოცვის დღედ გამოცხადების წინააღმდეგ გალაშქრება. „...შაბათი კაცისათვის დაიბადა, და არა კაცი შაბათისათვის. ვინაიცა უფალ არს ძე კაცისა შაბათისაცა" (მარკოზი 2, 27-28).

ებრაელ მღვდელმთავართა აზრით კი ნებისმიერი გამოსვლა მოსეს კანონის წინააღმდეგ, მისი შეცვლა ან გაუმჯობესების ცდაც კი უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. გარდა ამისა, იესო ძე ღვთისად აცხადებდა თავის თავს, რაც სრულიად მიუღებელი იყო ებრაელი მღვდელმთავრებისათვის.

მეორეც, ზ.გამსახურდია თავის წერილში სრულიადაც არ აჩვენებს იმას, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი ე.რენანს ეკუთვნის და იგი წინწკლებშია ჩასმული და სათანადოდ მითითებულიც. უფრო მეტიც, ჩემს მიერ მოხმობილი ციტატა ზ. გამსახურდიას ჩვეული მეთოდით არის დაჩეხილი, გამოტოვებულია მისი პირველი ნაწილი, რომლის გარეშეც სწორი აზრის გამოტანის საშუალება იკარგება. ამიტომ, მე სრულად მოვიტან ჩემს წერილში გამოთქმულ აზრს და ე.რენანის დამადასტურებელ ციტატასაც:

„კითხვაზე, — ვწერ მე ჩემს წერილში, — თუ რატომ ვერ იცნეს ებრაელებმა იესო ქრისტე, დღეს ბევრი, ძველისაგან განსხვავებული პასუხი არსებობს. მთავარი მათ შორის მაინც ის არის, რომ, თუკი იესო ქრისტეს ჯვარცმა ღვთის სურვილით მოხდა, თუკი ეს აუცილებელი იყო ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვისათვის, მაშინ ყველა მისი მონაწილე პერსონაჟი — იესო ქრისტე, ებრაელები და თვით რომაელი ჯალათებიც ღვთის განგების ბრმა შემსრულებელნი ყოფილან. ასეთ შემთხვევაში ქრისტეს დასჯაში ებრაელებს ბრალი არ ედებათ. მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო სწორია ის მოსაზრება, რომ ებრაელებს თავიანთი შვილი შემთხვევით არ დაუსჯიათ: ეს არ იყო შეცდომა ან აჩქარებული მოქმედება, სრულიად მართალი იყო რელიგიის ცნობილი მკვლევარი ე.რენანი, როდესაც წერდა:

„... არც ტიბერიუსს და არც პილატეს არ მიუსჯიათ სიკვდილი იესოსათვის, იგი გაწირა ძველმა იუდაურმა პარტიამ, მოსეს კანონმა... ეს სიკვდილი „კანონიერი" იყო იმდენად, რამდენადაც წარმოადგენდა შედეგს მათი კანონების მოქმედებისა, რომელიც ერის სულს გამოხატავდა... მოსეს კანონი სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიოდა. ქრისტე კი სწორედ ამ კანონის წინააღმდეგ ილაშქრებდა. იუდეველებმა სამართლიანად და გულახდილად უთხრეს პილატეს ამის შესახებ: ჩვენ გვაქვს კანონი და ამ კანონის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, რადგან თავის თავს ძე ღვთისა უწოდაო".

როგორც ვხედავთ, ციტატაში სიკვდილის კანონიერება წინწკლებში არის ჩასმული. ეს იმას მოასწავებს, რომ იესოს სიკვდილის კანონიერება და სამართლიანობა ებრაელთა გაგებიდან გამომდინარეობს და რენანის აზრს არ წარმოადგენს. მთელი ჩემი წერილიც ხომ ებრაელთა დამოკიდებულების გარკვევას ემსახურება თავისი სხვაგვარად მოაზროვნე შვილისადმი, ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, ეს მათი გაგებაა, მათი ურთიერთობაა და თავისი შვილისადმი და არა ჩემი. ამიტომ უაზრობაა, დიდი უსამართლობაა ამის გამო მე პირწავარდნილი თალმუდისტობა დამაბრალო...

სულ ეს არის ზ.გამსახურდიას მიერ შენიშნული შეცდომები. როგორც ვნახეთ, არც ერთი მისი შენიშვნა ოდნავ მაინც არ უახლოვდება ჭეშმარიტებას. მთლიანად ეს წერილი კი დემაგოგიურია და იგი მთლიანად ჯდება ზ. გამსახურდიას მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვების სტილში. დანარჩენი კი არის ლანძღვა, საშინელი ქუჩური ლანძღვა. თავისი „წერილებისა და ესეების" წიგნში 483-499 გვერდებზე გამოქვეყნებულ „რეცენზიასა თუ პასკვილში იგი საშინლად არის აღშფოთებული, რომ ალ. ჭინჭარაული თავის წერილში მას „ურცხვსა" და „უდიერს" უწოდებს, რაც ყოვლად მიუღებელია ჟურნალში დაბეჭდილი სტატიის ტონისათვისო — დაასკვნის ზ. გამსახურდია. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავისი ეს დებულება ავიწყდება და უშვერად ილანძღება. მის წერილში ნიშანწყალსაც ვერ ნახავთ ისეთი ქრისტიანული თვისებებისა, როგორიცაა შემწყნარებლობა, მოყვასის სიყვარული, მიტევება, განსხვავებული აზრის პატივისცემა.

მე სათანადოდ არ ვიცნობ ბატონ ზ.გამსახურდიას მეცნი[illegible] მებს. ამიტომ მათ შესახებ არ შემიძლია რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთება, მაგრამ ვაითუ ისინი ისეთივე საბუთიანობით არის დაწერილი, როგორც ჩემს წინააღმდეგ დაწერილი წერილი...

P.S. ეს წერილი მაშინვე დაიწერა, როგორც კი ბატონი ზ.გამსახურდიას წიგნი გამოქვეყნდა (1991 წ.), მაგრამ მისი დაბეჭდვა არც მიცდია იმის შიშით, რომ ოდნავი ჩრდილიც არ მიმეყენებია ეროვნული მოძრაობისათვის, ახლა, როდესაც მთლიანად გამოჩნდა ბატონ ზ.გამსახურდიას [illegible] სახე, რომელმაც საქართველო ამდენ უბედურებას გადაჰყარა, ისევ ვიყოყმანე, ღირდა თუ არა დამხობილი დიქტატორის წინააღმდეგ რაიმე გამომექვეყნებინა, ხომ არ ჩამითვლიდნენ ამას გალაშქრებად განდევნილი კაცის მიმართ? მაგრამ მისი დაბეჭდვა მაინც გადავწყვიტე, რადგან დარჩა ის პრობლემები, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს და დარჩა ჩემი სრულიად დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება, რომელსაც ასევე პასუხი უნდა გაეცეს. ამიტომ აქ საქმე მარტო ზ.გამსახურდიაში როდი არის...

რასაკვირველია, ჩემი წერილი იმას როდი მოასწავებს, რომ კამათი იესო ქრისტეს შესახებ საბოლოოდ გადაწყდა. ასევე გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი დღესავით ნათელი იყოს. მორწმუნეთ თავისი არგუმენტები გააჩნიათ მისი არსებობის დასამტკიცებლად — ათეისტებს კი უარსაყოფად. ეს კამათი მრავალი საუკუნე მიმდინარეობდა და ვფიქრობ იგი მომავალშიც გაგრძელდება. აქედან გამომდინარე, მე იმის თქმა მინდა, რომ ბატონ ზ.გამსახურდიას მტკიცება უკვე გადაწყვეტილად გამოაცხადოს ეს საკითხები აშკარად არ შეესატყვისება სინამდვილეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თემებზე მუშაობა მოგვიხდა მეტად რთულ პერიოდში. იმ დროს, როდესაც რელიგიის ყოველგვარი პოზიტიური ხსენება ოფიციოზის მხრივ სასტიკად იყო დაგმობილი. ვითომდა არსებობდა სინდისის თავისუფლება, მაგრამ რელიგიური ლიტერატურა ფაქტიურად იკრძალებოდა. უპირველეს ამოცანად ითვლებოდა ხალხის მასების განთავისუფლება რელიგიური შეხედულებებისაგან და მეცნიერულ-მატერიალისტური შეხედულებების ჩამოყალიბება. ასეთი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ყოფნის დროს ძალზე რთული იყო რაიმე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება შეფარვითაც კი. ასეთ პირობებში კი იესო ქრისტეს მითიურობის უარყოფა და რეალურ პიროვნებად გამოცხადება ოფიციოზის წინააღმდეგ გალაშქრებას და ერთგვარ გმირობასაც უდრიდა. ჩვენ კი ამის სანაცვლოდ ზ. გამსახურდიასგან ლანძღვა-გინება მივიღეთ.

და კიდევ ერთი: ჩემი წერილი იწყება სახარების სიტყვებით, რომ ჯობია ერთი კაცი მოკვდეს, ვიდრე ერი დაიღუპოს ერთი კაცისათვის, მაგრამ მე ის [illegible] ძალზე ბოროტი, არ მემეტება. რადგან [illegible] ცაც ჩვენი ერის ნაწილი გახლავთ... მაგრამ მე ის ხალხიც ძალზე მენანება, რომელიც ასევე ჩვენი ერის ნაწილს წარმოადგენდა და ვინც ზ.გამსახურდიას გამო დაიღუპა... ძალზე ვწუხვარ, რომ საქართველოს ისტორიაში ისევ განმეორდა ის სიტუაცია, რომლის გულისთვისაც თავის დროზე ჩემი წერილი დაიწერა.

# ორი მახარაძე

Ერთი ხანობა ჩვენში გავრცელებული იყო თამაში „ჩანაფიქრის გამოცნობაზე": გამოუცდელ „სტატისტს" სთხოვდი ჩაეფიქრებინა რომელიმე ცნობილი რუსი პოეტი, შინაური ფრინველი და ხილი.

როგორც წესი, 99 პროცენტი მაინც პუშკინს, ქათამს და ვაშლს ჩაიფიქრებდა ხოლმე და „ტილიპატი" გამომცნობიც მაშინვე ზუსტად გამოიცნობდა.

ეს „ფოკუსი" ადვილად აიხსნება: [illegible]

ამ შესავლის შემდეგ, პატივცემულო მკითხველო, [illegible]

მახარაძე, ორჯონიკიძე.

*

ხომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე გაგახსენდათ?!

დიახ, ფაქტია, რომ ეს გვარები ჩვენს ცნობიერებაში ფილიპემ და სერგომ იმდენად „გაითავისეს", ლამის მათ სინონიმებად იქცნენ. თუ რატომ, არც ესაა ძნელი გასაგები, საქართველოში ხალხს ამ ორმა პირმა მეტისმეტად „კარგად" დაამახსოვრა თავი! [illegible]

[illegible] ყველაფერი ვიცით, მაგრამ... ვთქვათ, გაიცნობ რომელიმე რიგიან კაცს—მახარაძეს და ის ოხერი რეფლექსი ამუშავდება და ამ შენს კეთილ მახარაძეს იმ უკეთურ მახარაძეს (ფილიპეს) ამოუყენებს გვერდით!..

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი „არაკანონზომიერი კანონზომიერება" უნდა გავიხსენოთ: ღირსეულ ადამიანებზე უკეთ ულირსებს ვიცნობთ „რატომღაც". მაგ. იგივე ფილიპე მახარაძე ყველამ ვიცით, მაგრამ, ვიცით, ვინ იყო გერასიმე მახარაძე?!

ძალიან ცოტამ.

არადა, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძესა და სხვა თანამებროტმოქმედებთან ერთად ყოვლნაირად რომ [illegible]

[illegible]

*

[illegible]

ნაალმდეგ ბოლშევიკური შემართებით რომ ხლართავდა შეთქმულების ბადეს, გერასიმე მახარაძე საქართველოს ინტერესებს იცავდა—როგორც მისი წარმომადგენელი, ელჩი— საბჭოთა რუსეთში!.

შემდგომ, როცა ზემოაღნიშნული ბადე მოიქსოვა და „ახალ საქართველოში" ერთი მახარაძე (ფილიპე) ციხეებს პოლიტპატიმრებით ავსებდა, მეორე მახარაძე (გერასიმე) პოლიტკატორღელთა კავშირს თავმჯდომარეობდა...

• გადის ხანი და ფილიპე მახარაძე ყველაფერს რომ აკეთებს საქართველოს სსრკ-ს განუყოფელ ნაწილად ქცევისათვის, გერასიმე მახარაძე ასევე ყველაფერს აკეთებს სსრკ-დან საქართველოს გამოყოფისათვის, კერძოდ, აქტიური წევრია ამ მიზნით 1934 წელს შექმნილი „[illegible]". [illegible]

[illegible]

გერასიმე მახარაძე 1937 წლის 13 სექტემბერს [illegible]

რას მოესწრებდნენ, ძნელი გამოსაცნობი არაა — დახვრეტა ქონების კონფისკაცია[illegible]

ით.

*

ფილიპე მახარაძე ოთხიოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა, თავისი, ბუნებრივი, ერთი სიტყვით, „ნორმალური" სიკვდილით. თუ ასეთ სიკვდილს შეიძლება „ნორმალური" ეწოდოს: გიგლა ბერბიჭაშვილს სასამართლო პროცესზე პირდაპირ განუცხადებია, ილიას მოკვლა ფილიპე მახარაძემ დამავალაო.

აი, ამ განცხადების შემდეგ მოსვლია გულის შეტევა ფილიპე მახარაძეს...

*

1959 წელს, სიკვდილის შემდეგ, გერასიმე მახარაძე რეაბილიტირებულ იქნა. სავალალო მისი უცნობობა.

[illegible]

1991 [illegible]

[illegible]

გიორგი კაკაშიძე

## კარლო კობერიძე:

# რაკი მწერალი ვარ, სიმართლეც უნდა ვთქვა...

**— ბატონო კარლო, რამდენიმე წლის წინ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა პრობლემათა, საზოგადო სატკივართა ფართო სპექტრის მომცველი თქვენი პუბლიცისტური წერილები. ბოლო ხანებში თქვენი ამგვარი პუბლიკაცია არ შემხვედრია; ასე ვთქვათ, „აქტიურად სდუმხართ".**

**ეს ფაქტი, მე პირადად, ერთგვარი ტენდენციის გამოხატულებად მიმაჩნია. ბევრი, ვინც ადრე, იმ „ბნელ დროში" „ყვიროდა", დღეს სდუმს, და პირიქით, მაშინდელი მდუმარენი დღეს ერთობ აქტიურად გამოიჭრენ ასპარეზზე. ეს ტენდენცია შეინიშნება არა მარტო „სიტყვით მეტყველებაში". მსგავსი სიტუაცია უკვე გამოიკვეთა პოლიტიკაშიც... რას იტყოდით ამ მოვლენის შესახებ?**

— 1988 წლის ნოემბრის შიმშილობამდე მართლაც ბევრს ვმუშაობდი. პუბლიცისტურ წერილებს უფრო ხშირად გაზეთ „თბილისში" ვბეჭდავდი, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა — „თბილისის" მაშინდელი რედაქტორი, ბატონი არჩილ გოგელია, ერთ „თამამ" სტრიქონსაც არ წამიშლიდა და არც შემიცვლიდა ხოლმე, რაც მაშინ მართლაც უჩვეულო იყო. ერთხელ ერთ წერილზე მითხრა, ამის გულისთვის შეიძლება მომხსნან, მაგრამ ესეც არაფერი — ურისკოდ არც მე შემიძლია ცხოვრებაო. მოხსნით არ მოუხსნიათ, მაგრამ კი შეაჭანჭყარეს, რაზედაც სიტყვა არ წამოცდენია ჩემთან — სხვა არხებიდან გავიგე. აი, იმ ნოემბრის ამბების შემდეგ თითქმის მივატოვე წერა... რომ გითხრათ, დღევანდელი მთავრობით აღფრთოვანებული ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ეს კია, უკვე კალმისაკენ გამირბის თვალი... ჩემთვის წარმოუდგენელია მათი ნიჭი და უნარი, ვინც 9 აპრილს იმავე დღეს ლექსებით, მოთხრობებით, წერილებით გამოეხმაურა. შეიძლება ეს ჩემი შინაგანი პროტესტია; თქვენ როგორც გნებავთ, ისე ჩათვალეთ.

მედროვეებს რა დაგვილევს ცხოვრებაში — ეს კანონზომიერებაა. ყველანი რომ ერთნაირები ვიყოთ, ერთფეროვნება წაგვლეკავდა. იმ „შავბნელ დროში" ზოგთა ყვირილი და ახლა დუმილი, იმედის გაცრუების მიზეზი მგონია. მართლაც ძნელია, რასაც მოელი, მის ნაცვლად უარესობა შეგრჩეს. ადამიანების გარკვეულ ნაწილს გამოცდილება თუ ალღო კარნახობს, როდის რისი მოხვეჭა შეიძლება. ამ მხრივ ჭკუა რომ წვიმდა, მე ქოლგით დავდიოდი. თავმოყვარეობის ბორკილი ყველაზე მძიმე სატარებელი ყოფილა. დააკვირდით, ვინ ბეჭდავს საკუთარი ხარჯით წიგნებს — უმეტესობა ხელმოცარული მწერალია. შენ რომ გაოგნებული ხარ ამ სამ წელიწადში ჩვენს თავზე დატრიალებული დოლაბით, მედროვენი საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ, მოკლედ, ქონებას იხვეჭენ, თანაც მამულიშვილობაზე დებენ თავს და ჭკვიან კაცს ადგილს არ უტოვებენ არც სამსახურში, არც პრესაში, არც ტრიბუნაზე. [illegible] არესაში [illegible] მწერალი ლევ შეინინი, დღისით რომ მწერლებთან ტრიალებდა, ღამე თურმე დასახვრეტად აგზავნიდა უდანაშაულო ხალხს, ვიშინსკის მარჯვენა ხელი იყოო. ამ, ასე ვთქვათ, მწერალს, აღარავინ ახსენებს სარუსეთოს, აქ კი ხელახლა გამოვეცით მისი „გამომძიებლის ჩანაწერები". მთარგმნელმა (გვარი არ მახსოვს) მართლაც იყოჩაღა. ყველა გზა რომში კი არა, ზოგისთვის ჯიბის გასქელებისაკენ მიდის.

**— ბევრს მოეწონა ამასწინათ, მწერალთა ყრილობაზე ნათქვამი თქვენი ერთი ფრაზა „რავა ერთი და იგივე ხალხისთვის ისროლა „ავრორამ", როდიონოვმაც და კიტოვანმაცო"...**

— ეს სიტყვები, თქვენ რომ გამახსენეთ, ნამდვილად ვთქვი მწერალთა ბოლო ყრილობაზე. მაშინ სხვაც ვთქვი, მაგრამ რატომღაც ამაზე უფრო გაამახვილეს ყურადღება. არ მინდა დავაკონკრეტო თუნდაც ის უკეთურობა, რაც ჩემს მიმართ ჩაუდენიათ იმ მწერლებს, თანამდებობები რომ ეკავათ და ზოგიერთს ახლაც უკავია. ჩავლილს აღარაფერი ეშველება, თანაც კარგად მოეხსენება, ვის მისამართითაც ვამბობ. — სწორედ ესაა მთავარი. ამ ბოლო ყრილობის თაობაზე ბევრი ჭორი დადის. ყრილობიდან სოფელში რომ ვბრუნდებოდი ავტობუსით, ისეთ რამეებს ყვებოდნენ ჩვენს ყრილობაზე, თავზარი დამეცა, ჩარევით კი ვერ ჩავერიე: არავინ დამიჯერებდა, იმ ყრილობის მონაწილე რომ ვიყავი — ხალხი პირადად არ მიცნობს, რაკიღა ტელევიზორით არ გამოვდივარ და არც ჩემს წიგნებს „ვამშვენებ" საკუთარი პორტრეტებით. საერთოდ, უძნელესი პროფესია რეჟისორობა მეგონა, მაგრამ ახლახან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მთლად უბრალო რამე ყოფილა სპექტაკლის დადგმა — მწერალთა კავშირის ორად გახლეჩაზეც მოგახსენებთ. ერთ სკამზე ორი კაცი ვერ დაჯდება, მითუმეტეს სამი! თავისუფლება თუ ქაოსს, განუკითხაობასაც გულისხმობდა, ნამდვილად არ ვიცოდი. მთავრობა თუ ამ უთავბოლობაში არ ჩაერევა, ისიც საკითხავია, ვის რაში სჭირდება ასეთი თავისუფლება? თუმცა მთავრობამ რა ქნას როცა ხმოსნები კონსტიტუციურ უფლებას ვიშველიებთ? მოკლედ, მეც დავიბენი! ერთი სიტყვით, ჩვენ თვითონვე ვიბორკავთ საკუთარ თავს, ჩვენ თვითონვე ვიწეწავთ ცხოვრებას. გამოდის, რომ არც გარეგნულად და არც შინაგანად თავისუფლები არა ვართ და ამდენად არც ფასი ვიცით მისი.

**— როგორ შეაფასებთ დღეს საქართველოში არსებულ ზნეობრივ (გნებავთ, არაზნეობრივ) ატმოსფეროს? სწორედ ზნეობრივს და არა ვთქვათ, პოლიტიკურს, სოციალურს და ა.შ. რამეთუ ყველაფერი ზნეობაზე დგას (უნდა იდგეს). მწერალი კი, პირველ ყოვლისა, ალბათ ზნეობაზე (უზნეობაზე) უნდა ლაპარაკობდეს, ტეხდეს განგაშს...**

— ერთ მაგალითს მოვიტან რომელიც თქვენი მეორე კითხვის პასუხიც იქნება და ამ შეკითხვისაც. კაცი, რომელიც რაიკომის პირველი მდივანი იქნება ბატონ ედუარდ შევარდნაძის დროს, პარტიიდან გარიცხავს ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი, ამ „მშობლიურ პარტიაში" აღადგენს ბატონი გივი გუმბარიძე, მერე ზვიად გამსახურდიას ჩაეფსკვნება და ამით ისევ „საყვარელი სამშობლოს" სამსახურში ჩადგება, და ბოლოს ისევ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება, როგორც რაიონში პირველი კაცი, ამის შემდეგ, რომელ ზნეობაზე შეიძლება ლაპარაკი? ვითომ ასე უცებ ეცვლება კაცს პოლიტიკური რწმენა? ვითომ ასე ერთბაშად იცვლება ადამიანი? ფსიქოლოგიას, როგორც საგანს, კარგად ვიცნობ; უფრო უკეთესად კარიერისტების ფსიქოლოგიას, რაზეც ეს საგანი არ გვაძლევს ამომწურავ პასუხს. ასეთი ხალხის რჩეულნი ზემდგომ ინსტანციებში უფრო ჭარბად ჩანან და უბრალო ადამიანებს რწმენაც ამიტომ ერყევათ. ასეთ ვინმეს კისერი რომ მოვუღრიცოთ უკან მისახედებლად, ვითომ დაშავდება რამე? თუ მთხოვთ კონკრეტული პიროვნება დავასახელო, გიპასუხებთ: ეს ისეთი ტიპია, ამ პატარა ინტერვიუსთვის ვერ გავიმეტებ... და კიდევ: ერთმა სუბიექტმა ინატრა ერთხელ, ჩემი რაიონის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად დამსვა თუნდაც ერთი წელიწადი და ჩემს შვილიშვილებს ეყოფაო. ეცადა, მაგრამ ვერ ჩააწყო, ქვეყანა რომ აიწეწა [illegible] და ძმიერი მგლები [illegible] გამოვიდნენ, ეს სუბიექტი ტელევიზორს გამოეკერა — გვმოძღვრავდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, დარდით დაქანცული მამულიშვილის კვალობაზე. ბოლოს აკი კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ახლა პრესაში ისევ აიდგა ფეხი. იცის თხუნელამ, სადა ყრია ჭიაყელებიანი ნაგავი! რაკილა მწერალი ვარ, სიმართლეც უნდა ვთქვა: ჯერ ისევ ქაოსია, უკეთესობისაკენ მინაბიჯებს ვხედავ, მაგრამ მალევე იკარგება ბურუსში. მესმის, ჯერჯერობით დროებითი მთავრობაა. სხვაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მეც რომ დროებით ვარ ამ ქვეყანაზე? ეს რა უბედურებაა, კაცო, ვერ გამიგია — ხალხი შიმშილობს, ჩვენ კიდევ გავყვირით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სიღარიბიდან ამოგვიყვანს. სიღარიბიდან გაქექილი ხალხი, ოფიციალური ქურდები — კომერციული მაღაზიის მეპატრონეები, კოოპერატორები ნამდვილად ამოვიდნენ. [illegible]ლმა თქვა, მე თუ მკითხავთ, მწყემსი სულაც არ არის საჭიროო... იქნებ ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ მიწების პრივატიზაციას აშკარად უშლიან ხელს. რატომაც უშლიან ხელს და ვინც უშლის, თუ ვერ ვხვდებით, ეს მიუხვედრელობა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს... საქართველოს კუთხეები დავუპირისპირეთ ერთმანეთს, გახურებული ხოცვა-ჟლეტაა და სიტყვა ზნეობაც კარგავს თავის ფუნქციას... თელავში ვმუშაობ, ალმანახ „ალაზნის" რედაქტორად. 210 მანეთი მაქვს ხელფასი... გამოწერით. ასე გრძელდება სამი წელიწადია. მწერალთა კავშირის ადრინდელ ხელმძღვანელობას რომ ვუთხარი, ნამეტანი ცოტაა — მეთქი, რას იზამ, უნდა გაუძლოო. სხვა ვერ უძლებს, მე უნდა გავუძლო. ყოველდღიურად 70 კილომეტრს ვკეცავ იქით და აქეთ. წასვლა-წამოსვლა 30 მანეთი მიჯდება. როგორც უნდა ვიმარჯვო, ორ კვირას მაინც არ მყოფნის მარტო გზის ფულად; მაშინ, როცა სოფლის გამგებლებსა და მდივნებს ხელფასი 1100 მანეთი აქვთ თვიურად. ისიც, ესეც ცოტაა: რკინიგზის მეისრეს, სამ დღეში ერთხელ რომ მუშაობს — 1400 აქვს. ახლა ეს უთავბოლობა ვის ზნეობას მივაწეროთ? საინტერესოა, ვინც ეს დაგვიკანონა, თვითონ რამდენს იღებს ხელფასს? ერთმა სახელგანთქმულმა მწერალმა მანუგეშა, გაგიორკეცდებაო! მკითხავთ ალბათ, რიღათი არჩენ ოჯახსო. მიწა მაქვს და ის მარჩენს. მოკლედ, გლეხი ვარ ისევ, „ოფიციალური გლეხებისაგან" განსხვავებით. რომ იცოდეთ, რა ნერვების წყვეტად მიჯდება ამ ალმანახის გამოცემა, გინესის რეკორდების წიგნში შეყვანის რეკომენდაციას მომცემდით. დარწმუნებული ვარ, უფრო სენსაციური იქნებოდა, ვიდრე ცოცხალი ჭიანჭველების გადაყლაპვა.

**— ბატონო კარლო, თქვენ სოფელში ცხოვრობთ, ამდენად კარგად იცნობთ სოფელს, მის პრობლემებს. დღეს ხშირად გაიგონებთ, წაიკითხავთ, თუ რამე კარგია საქართველოში შემორჩენილი, სოფელშია შემორჩენილი და საერთოდ, მან, გლეხკაცმა უნდა გადაგვარჩინოსო... ცოტა გადაჭარბებული, იდეალიზებული ხომ არაა ამგვარი წარმოდგენა?**

— უცნაურია, მაგრამ როგორც ვხედავ, სოფელი იქით გვყავს გადასარჩენი. სადღაა გლეხი! ერთხელ აწ განსვენებულმა პროფესორმა, ბატონმა იასე ცინცაძემ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" გამოაქვეყნა წერილი: სტუდენტობისას ძალიან გამიჭირდა და მამაჩემს გავუგზავნე წერილი, ფული მომაშველე-თქო, მამაჩემმა მარჩენალი ძროხა გაიყვანა ბაზრობაზე, მალევე ნახა მუშტარი, მორიგდნენო. მყიდველს გადაულაპარაკებია თავისი ნაცნობისათვის, დღესვე უნდა დავკლა და, რას იტყვი, რამდენ გირვანქა ხორცს დაჰყრისო. მეცნიერის მამას უთქვამს, მე დასაკლავად არა ვყიდიო და ისევ უკან წამოუყვანია ძროხა... ა, ბატონო, გლეხი!.. საშუალო სკოლის დამთავრება სავალდებულოდ ვაქციეთ, რასაც გლეხის დაკარგვა მოჰყვა. ამდენ უმაღლეს სასწავლებელს, სახელმწიფოსი რომ ერქვა, ასზე მეტი კერძო, კომერციული უმაღლესი დაემატა და სოფელში არავინ დარჩა გლეხად — მიწის მუშ[illegible]დომა კი არა, დანაშაულია, დიახ, დიახ, დანაშაული!.. მინდა გავაფრთხილო მთავრობა: მიწების პრივატიზაცია ისეთ უბედურებას გამოიწვევს, მტრისას! — საამისო სიმპტომები გამოკვეთილად ჩანს. საწყალი კაცი ისევ აშკარად იჩაგრება. — არც ყველა კაცია ადამიანი და არც ყველა მიწაა მიწა. ერთი სიტყვით, ძალა ისევ აღმართს ხნავს. როგორ შეიძლება იმ უთაურობის დაშვება, რაც შარშან მოხდა და წლეულს ხდება: ყურძენი გროშების ფასად მიიღეს, ღვინოს კი ქარხნები თვითნებურად უწევენ ფასს. ასე რომ, ისევ გლეხი გაიჭყლიტა. ბოლო-ბოლო, როდის უნდა გვეღირსოს ისეთი მთავრობა, ხელჩაქნეულ გლეხს მიწას რომ შეაყვარებს? კილო შაბიამანს სამოც მანეთად ვარაუდობენ, საწვავის ფასიც ყოველდღიურად იზრდება. ესეც გლეხს აწვება ქედზე და ისიც, ჩალის ფასად შესყიდულ მის ჭირნახულს მამასისხლად რომ აყიდებენ ქვეყანას და თვითონ გლეხს კი არაფერი ხვდება! ერთი ბალონი თხევადი გაზი 119 მანეთი ღირს, მალე 250 მანეთი გახდებაო, გაგვახარეს. იცოდეთ, ამისი მყიდველი აღარავინ იქნება, ისედაც განადგურებული ტყეები კი მთლად გაჩანაგდება. „მწვანეები" ამ დროს თბილისში მართავენ მიტინგებს. ასფალტზე ნუკი დაბრძანდებიან, ჩვენი ტყეები მოიარონ, — რა სანახავსაც ნახავენ, ყური ნუ გაიგონებ. კერძო სახერხებიც მომრავლდა, პარკეტისაც და წავიდა რიარია!.. ვიმეორებ, მიწების პრივატიზაცია წონასწორობიდან გამოიყვანს გლეხობას, ამიტომ საჭიროა ამ საქმის მოსაგვარებლად, გასარჩევად საგანგებო ჯგუფები შეიქმნას რაიმილიციებში, თორემ ძმაკაცობას, ნათლიმამობას არ მოვიშლით და გლეხსაც კიდევ უფრო აევსება მოთმინების ფიალა...

სხვაფრივ კეთილად ბრძანდებოდეთ!

ესაუბრა
ფელიქს კოჭიაშვილი


გამომცემლობა „მერანმა" დასტამბა მწერალ გურამ ბათიაშვილის რომანი

„თუ დაგივიწყო იერუშალაიმ!"

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ქართველ ებრაელთა ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, ქართველ ხალხთან მათი ძმური ურთიერთობის მასშტაბურად, მაღალმხატვრულად დახატულ სურათს.

რომანის დედააზრს შესანიშნავად გამოხატავს ერთი სამშობლოდან მეორეში დაბრუნებული ერთ-ერთი პერსონაჟის გულწრფელი სიტყვები: „-მოშემ ეგვიპტელთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ებრაელობა ორმოცი წელი ატარა უდაბნოში. ჩვენ კი ორი ათას ექვსასი წელია მოვდივართ. თან მოგვაქვს სიყვარული სამშობლოსადმი, ასეთი სიყვარული იმ ხალხმაც გვასწავლა, რომლის წიაღშიც ვცხოვრობდით.."

გურამ ბათიაშვილი

თუ დაგივიწყო იერუშალაიმ!

რომანი

גורם בתיאשווילי

אם אשכחך ירושלם!

הספר יוצא בחסות הסוכנות היהודית לארץ-ישראל

თბილისი, „მერანი"
1991

* განცხადება *

კომპიუტერულ ცენტრს ესაჭიროება მბეჭდავი. სასურველია ელემენტარული კომპიუტერული განათლებით. ჩვენი ტელეფონებია: 29-49-61; 29-48-61



ინდექსი 66447
ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი